ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 27 ივლისი, 2021 №136 (8665) ფასი: 60 თეთრი

## „ქვეყანა ახალ „ლოქდაუნს“ ვერ გაუძლებს“

რა შედეგი მოაქვს შეზღუდვების მოხსნას ეკონომიკისა და მოქალაქეებისთვის?



გვ.2

# „ხალხმა ვერ გაარკვია, გახარია ვის უპირისპირდება“

გვ.3



რამაზ საყვარელიძე: „ოპოზიციამ არ იმუშავა, არ იზრუნა სერიოზულ შედეგზე. ვგულისხმობ 2012 წლიდან მოყოლებული, დღემდე“



**„გახარიას პარტიის გასწვრივ რამდენპროცენტიანი მაჩვენებელი დაფიქსირდება, ამას ექნება მნიშვნელობა საპარლამენტო არჩევნებისთვის“**

## „მელია, ხოშტარია, ჯაფარიძე ერთი პარტიაა“



გვ.3

გიგა ბუკია: „ნაცმოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ ერთმანეთი ჰაერივით სჭირდებათ“



გიორგი ბარამიძე: „ვერ ამოვედით საბჭოთა აზროვნებიდან, გაუნათლებლობიდან და სიღარიბიდან“

გვ.2



## „გამოჩნდება, ვინ ნამდვილი ოპოზიციაა და ვინ „ოცნების“ თამაშს თამაშობს“



## „ვადამდელი არჩევნები რეალურია და რა 10-წლიან გეგმაზეა ლაპარაკი“



გვ.4

ვახტანგ მაისაია: „შეიძლება, ჯიჰადიზმის ტალღა ჩვენი ქვეყნისკენაც წამოვიდეს“

ISSN 1987-9385

5 ლექსო ლაშქარავას მიმართ ძალადობისთვის დაკავებულ გია გიგუაშვილს პატიმრობა შეეფარდა

5 თბილისში მძარცველი ვითიბი ბანკში სავენტილაციო მილიდან შევიდა

5 საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დამრღვევ პირებს ამნისტია შეეხებათ

6 აშშ-ში ერთმანეთს 20 მანქანა შეეჯახა 7 ადამიანი დაიღუპა

# „გამოჩნდება, ვინ ნამდვილი ოპოზიციაა და ვინ „ოცნების“ თამაშს თამაშობს“

## გიორგი ბარამიძე: „ვერ ამოვედით საბჭოთა აზროვნებიდან, გაუნათლებლობიდან და სიღარიბიდან“

იაგო ნაცვლიშვილი

**რას ნიშნავს ოპოზიციისა და მედიის წარმომადგენლების პლაკატების გამოჩენა ქუჩებში მათი დისკრედიტაციის მიზნით? ურევია თუ არა ამაში ხელისუფლების ხელი? რას ფიქრობს საგამოძიებო კომისიის დასკვნაზე, რომ არჩევნები არ გაყალბებულა და რატომ არ შეუერთდნენ ოპოზიციურ ერთობას? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ბარამიძე საუბრობს.**



***— ვნახეთ ქალაქის ქუჩებში გაკრული პლაკატები და ნაცმოძრაობის მოძალადეებად გამოცხადება. ამ ფორმით წარიმართება საარჩევნო კამპანია და თვლით, რომ ამაში ხელისუფლებაა ჩართული?***

— მე მგონი, ძალიან სულელი უნდა იყოს ადამიანი, თუ ის მეტ-ნაკლებად მაინც იცნობს ქართული რეალობას და ფიქრობდეს, რომ ხელისუფლება არ არის ჩართული ამ კამპანიაში. რაც შეეხება თავად ფაქტს, გასაკვირი არაფერია. მოძალადეებს კი არ გვიწოდებდნენ, არამედ ხალხი მოვიდა 9 თვის ბავშვის ქვევრში დახრჩობით. ვითომ ეძებდნენ ბავშვს, მაგრამ ქვევრიდან კი არ ამოიყვანეს, კამერა სად არისო, ყვიროდა კაცი. მერე პირდაპირ ბავშვის მკვლელობა დაგვაბრალეს ნაციონალურ მოძრაობას. იმის მერე რამე შეიცვალა?! ვგულისხმობ მათ მიდგომას. მუშაობს ეს მეთოდი. გეტყვიან, რომ აქლემი ხარ, გეტყვიან, რომ სვანეთში სოფელი დაბომბე, ზურაბ ჟვანია მოკალი, 9 თვის ბავშვი დაახრჩვე, სანდრამ ორგანოებით ივაჭრა, 26.000 ქართველი ვაჟკაცი გააუპატიურე, ქუჩებში ხოცავდი უდანაშაულო ახალგაზრდებსო. ამან ხომ იმუშავა?! რომ გეტყვიან, აქლემი ხარო, ამის უარყოფის მტკიცებას აზრი არ აქვს. ეს მუშაობს საზოგადოების ერთ ნაწილზე.

***— საერთაშორისო ასპარეზზე რეპუტაცია არ აღელვებთ? იქიდან გამომდინარე, რომ ბევრჯერ იყო მოწოდება დასავლეთიდან ნორმალური საარჩევნო კამპანიის ჩატარების თაობაზე.***

— თქვენთან იმდენჯერ მილაპარაკია ამ თემაზე. ივანიშვილი ასრულებს პუტინის გეგმას და მეთოდურად და ნაბიჯ-ნაბიჯ ამას აკეთებს. მისი გეგმაა, რომ საქართველო არ იყოს შემდგარი სახელმწიფო, შევარდნაძის დროს, იმ ნიშნულს დაუბრუნდეს როგორც ეკონომიკურად და სოციალურად, ისე ინსტიტუციებისა თუ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მხრივ. ივანიშვილის მიზანია, რომ ეს ყველაფერი იყოს ჩამოშლილი და სულ არ აღელვებს. მან გაითვალისწინა იანუკოვიჩის შეცდომა და იმაზე კი არ ლაპარაკობს, არ გვინდა ნატო და ევროკავშირიო, პირიქით. მაგრამ ყველაფერ იმას, რაც ნატოსა და ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანია, ანგრევს.

***— იანუკოვიჩის შეცდომებს ითვალისწინებენ?***

— ამ ნაწილზე ვამბობ, რომ იანუკოვიჩმა ღიად თქვა, არ გვინდა ევროკავშირიო. ალბათ... შეიძლება, იანუკოვიჩის გამო არა, უბრალოდ, არის ამის გამოცდილება. რეალურად ივანიშვილი ამბობს, ევროკავშირისა და ნატოსკენ მივდივართო, მაგრამ, თუ ეს გინდა, მაშინ საქართველოს ეკონომიკა უნდა იყოს ძლიერი, სოციალური სფერო, მოქალაქეები უნდა იყვნენ ძლიერები, გამართული ჯანდაცვისა და განათლების სისტემა უნდა გქონდეს.

***— რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დემოკრატიული რეფორმები უნდა გაატარო.***

— ჩამონათვალს ვაკეთებ იმის, რაც ნათელია. სამწუხაროდ, ბევრს არ აინტერესებს... რადგან წამოჭერით ეს საკითხი, კი ბატონო, სასამართლო და პროკურატურა უნდა იყოს დეპოლიტიზებული, სუსი და პოლიცია ერთი კაცის ინტერესებს კი არა, სახელმწიფოს უნდა ემსახურებოდეს, ენერგეტიკულად არ უნდა იყოს დამოკიდებული მთავარ მტერზე, არ უნდა პარპაშებდეს კრიმინალი, არ უნდა იყოს კორუფცია და ა.შ. ყველგან რეგრესი გვაქვს. ყველაზე მტკივნეული, უსაფრთხოების სფეროს გარდა, ჩემთვის არის განათლება, რაც განაპირობებს საზოგადოების პროგრესს. საქართველო ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა ამ მხრივ. ძალიან მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ინტეგრაცია. ეს პროცესი საერთოდ შეაჩერეს. შეაჩერეს ინგლისურის პროგრამები, როდესაც ინგლისურენოვანი ქვეყნებიდან ჩამოდიოდნენ. მას აწყობს გაუნათლებელი საზოგადოება და მასზე დამოკიდებული ღარიბი ერი. როცა პრიორიტეტი გაქვს ეს, რომ რადაც არ უნდა დაგიჯდეს, ძალაუფლება შეინარჩუნო, მერე სხვა რაღაცებს აკეთებ.

***— რას ნიშნავს, როდესაც მედიასა და ოპოზიციას ერთმანეთთან აიგივებენ, ამით რის მიღწევა სურთ?***

— პოლარიზაციისა და იმის მიღწევა სურთ, რომ რასაც მედია ლაპარაკობს, ამით ეუბნება საზოგადოებას, ვინც ჯერ კიდევ ხმას აძლევს მას, რომ არ უნდა ენდონ მედიას. ვიცით, როგორც აქვთ სქემები დალაგებული, სპორტსმენები თუ სხვა პირები გაფორმებული ჰყავთ სსიპებსა და აიპებში, მოპარულ ფულს უხდიან. მეორე ნაწილია, ვინც მართლა უჭერს მხარს. ამ ხალხს „ოცნება“ ეუბნება, რომ რასაც ლაპარაკობენ ჩვენზე კორუფციაზე და ა.შ., სიმართლე არ არისო.

ამიტომ უნდათ, რომ პრესაც გააიგივონ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებთან, როგორც იტყვიან, ყველა ერთ ქვაბში მოხარშონ და ყველას ერთად გადაასხან წყალი. ეს არის ტაქტიკა, ბინძური პიარმეთოდოლოგია, რომელიც განსაკუთრებით ეფექტიანად მუშაობს ჩვენნაირ ქვეყნებში, თუმცა, მარტო ჩვენთან არა, ამან იმუშავა და უმაღლეს დონეზე აქვთ ნასაუბრები ამერიკელებს, ბრიტანელებსა თუ გერმანელებს. ამ ქვეყნებშიც კი გამოიყენა პუტინმა ეს მეთოდი. ჩვენთან კი გავსებულია ყველა სფერო აგენტურით, იქნება ეს მთავრობა, არასამთავრობოები თუ ეკლესია. გაძეძგილია, საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული, აგენტურა. სამწუხაროდ, ვერ ამოვედით საბჭოთა აზროვნებიდან, გაუნათლებლობიდან და სიღარიბიდან. ამიტომ განსაკუთრებით ეფექტიანად მუშაობს ჩვენნაირ ქვეყანაში.

***— დადო დასკვნა საგამოძიებო კომისიამ და თქვა, რომ არჩევნები არ გაყალბებულა. რას იტყოდით ამაზე?***

— ე.წ. კომისიაზე ლაპარაკი, მე მგონი, უხერხულია. სასაცილოა ეს და, ვინ უნდა მოტყუვდეს, არ ვიცი. შექმნეს ქოცებმა რაღაც და, მას რომ საგამოძიებო კომისია დაარქვა... არ ვიცი, ვისთვის შექმნეს, ალბათ, სადღაც სიტყვაში გამოიყენებენ. ჩვენმა კომისიამ დაადგინა, ჩვენ არ გაგვიყალბებია არჩევნებიო — ეს არის მთელი ფაბულა. მაგისთვის ჰყავთ იქ ინჯია და 1-2 ე.წ. ოპოზიციონერი.

***— შეიქმნა ოპოზიციური ერთობა, თუმცა რიგი პარტიები არ შემოუერთდნენ. რა ხდება ამ მიმართულებით და უნდა ველოდოთ თუ არა, რომ ეს ერთობა გამსხვილდება?***

— დაველოდოთ. საბოლოოდ ჩამოყალიბდება და ვნახავთ, ვინ თამაშობს სახელისუფლებო თამაშს და ვის აქვს სურვილი, რომ რეალურად დამარცხდეს ივანიშვილის რეჟიმი.

***— ვინც ამ ერთობას არ შემოუერთდება, ის თამაშობს?***

— არა, ეგ მე არ მითქვამს. გამოჩნდება. ვინც არ შემოუერთდება, ის აუცილებლად ხელისუფლების თამაშს თამაშობსო, მაგას ვერ ვიტყვი. მათ შეიძლება ეშლებოდეთ და მიაჩნდეთ, რომ ასეა სწორი. ყველას აქვს შეცდომის უფლებაც და თუნდაც თავისებურად მცდარად რაღაცის გადაწყვეტის უფლებაც. ამიტომ იარლიყებს არ ჩამოვარიგებ. მაგიტომ ვამბობ, რომ გამოჩნდება. შეიძლება, არ შემოუერთდეს ერთობას, მაგრამ, რაც შეეძლოს, იაქტიუროს იმისთვის, რომ გაყალბება არ დაუშვას.

***— ანუ მათთან გარკვეული კოორდინაცია მაინც გექნებათ?***

— რაც შეეხება კოორდინაციას, ჩვენ ვეცდებით, რომ ყველასთან გვქონდეს, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ვის რამდენად ვენდობით, მეორე საკითხია. იმისთვის, რომ კოორდინაცია გვქონდეს, რათა ამ არჩევნებმაც ისე არ ჩაიაროს, როგორც 2020-ის არჩევნებმა ჩაიარა გაყალბების კუთხით, მაშინ გაყალბება ისეთი მასშტაბის იყო, რომ რეჟიმმა ხელისუფლება შეინარჩუნა, ახლა რომ ეს არ მოხდეს, ყველაფერს გავაკეთებთ და ყველასთან ვითანამშრომლებთ.

# „ქვეყანა ახალ „ლოქდაუნს“ ვერ გაუძლებს“

## რა შედეგი მოაქვს შეზღუდვების მოხსნას ეკონომიკისა და მოქალაქეებისთვის?

როგორია საქართველოს ეკონომიკური ზრდა მსოფლიო პანდემიის პირობებში? ამ საკითხზე გუშინ, 26 ივლისს, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება და საზოგადოებას ეკონომიკური განვითარების კონკრეტული ციფრები გააცნო.

— ჩვენ ყველაფერი გავხსენით. რამდენიმე თვეა, ეკონომიკა ძალიან სწრაფი ტემპით იზრდება, გვაქვს უპრეცედენტო ზრდა მთელ მსოფლიოში – 45% აპრილში, 30% მაისის თვეში, 18%-ს ველოდებით ივნისის თვეში და 12%-იანი ზრდა გვაქვს პირველ 6 თვეში, რამაც მოგვცა საშუალება, რომ არც ერთი ლარი სესხი წელს არ აგვიღია. ჩვენ მილიარდზე მეტით გავზარდეთ წლევანდელი ბიუჯეტი, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე განმარტებით, წელს ბიუჯეტი მილიარდით გაიზარდა და ქვეყანას სესხი აღარ აუღია.

ექსპერტები თანხმდებიან, რომ ეკონომიკური განვითარების არსებული ტემპი შეზღუდვების მოხსნას უკავშირდება.

გიორგი ცუცქირიძემ დამატებით კიდევ 4 პუნქტი დაასახელა, რამაც ეკონომიკურ ზრდას ხელი შეუწყო. მისივე შეფასებით, შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნა მთავრობის მხრიდან გონივრული ქმედება იყო.

— ეკონომიკის განვითარების არსებულ ტემპზე გავლენა პირველ რიგში, სწორმა მენეჯმენტმა გამოიწვია. მეორე, წინა წლებში ძალიან დიდი ბაზისი გვქონდა შექმნილი, რაც უმეტესად დაკავშირებულია ექსპორტის სტრუქტურასთან.

მესამე ფაქტორი ეკონომიკის გახსნაა. ჩვენ გახსნა მარტიდან დავიწყეთ და პირველი ეკონომიკური პოზიტივი მარტში იყო. ეტაპობრივად გაიხსნა და ეს ძალიან სწორი და გონივრული გათვლა იყო, თუმცა ოპონენტების მხრიდან კრიტიკა მაინც მოჰყვა.

ბიზნესს აქვს პოზიტიური მოლოდინი, სხვანაირად ეკონომიკა ვერ იმუშავებს. ეს სწორედ იმ ღონისძიებებიდან და რეფორმებიდან, რომლებიც მთავრობამ განახორციელა, – განაცხადა ცუცქირიძემ „პრაიმტაიმთან“ საუბრისას.

ამ აზრს იზიარებს მთავრობის მეთაურიც, რომელიც მიიჩნევს, რომ ახალი ლოქდაუნი ქვეყნის ეკონომიკასა და მოქალაქეების კეთილდღეობაზე მძიმედ აისახება.

— ჩვენი ქვეყანა ველარ გაუძლებს ახალ ჩაკეტვებს, არც ლოქდაუნი, არც შეზღუდვები არ იქნება გამართლებული, უფრო მეტიც, ეს იქნება დამაზიანებელიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის. ეს გამოიწვევს იმას, რომ დამატებით უნდა ავიღოთ რამდენიმე მილიარდი დოლარი თუ ლარი ვალის სახით, რაც, რა თქმა უნდა, შემდეგ გახდება ჩვენი მოქალაქეების გადასახდელი. ამიტომ, მეგობრებო და ძვირფასო მოქალაქენო, ეს რომ არ განმეორდეს და ამის გაკეთება რომ არ მოგვიწიოს, გთხოვთ ყველას, ჩავიტაროთ ვაქცინაცია, რომელიც არის უსაფრთხო და, კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ ჩვენ უნდა დავუჯეროთ მეცნიერებს და არა „ფეისბუქისა“ და სხვადასხვა საშუალებით გავრცელებულ ათას დეზინფორმაციასა და ტყუილს, – განაცხადა ღარიბაშვილმა.



შეზღუდვების შემსუბუქება პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედმა საკოორდინაციო საბჭომ ეტაპობრივად, 5 მარტიდან დაიწყო:

პირველ ეტაპზე გაფართოვდა იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთა მოქალაქეებსაც საქართველოს საჰაერო საზღვარზე შემოსვლა ბოლო 72 საათის განმავლობაში ჩატარებული პისიარ ტესტის უარყოფითი პასუხის საფუძველზე შეუძლიათ და დაემატა თურქმენეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი და ყირგიზეთი.

8 მარტიდან შეზღუდვების შემსუბუქების მორიგი ეტაპი ამოქმედდა. კერძოდ, სამთო კურორტებზე ეპიდემიოლოგიური სტანდარტებისა და რეგულაციების სრული დაცვით განახლდა საბაგიროების მუშაობა; შიდა სივრცეებში მუშაობა განაახლეს რესტორნებმა;

19 მარტიდან დასაშვები გახდა ცოცხალი მუსიკა რესტორნებში;

28 მარტის კვირაში დაგეგმილ საფეხბურთო მატჩსა და ძიუდოს გრანდსლემზე;

1 აპრილიდან რეგულაციების დაცვით მუშაობის განახლების საშუალება მიეცათ საბავშვო გასართობ ცენტრებსა და კინოთეატრებს.

19 აპრილიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეები, 5-დღიანი კარანტინის ნაცვლად, ანტიგენ-ტესტით ტესტირებას ექვემდებარებიან; ასევე, ისინი ნებაყოფლობით, ვაქცინაციის პროცესში ერთვებიან;

17 მაისიდან, გადაადგილებაზე შეზღუდვა, ნაცვლად 21:00-05:00 საათებისა, მოქმედებს 23:00-დან 05:00 საათამდე პერიოდში;

17 მაისიდან, კვების ობიექტებს მიეცათ უფლება, სტუმრები შაბათ-კვირას მხოლოდ ღია სივრცეში მიიღონ;

1-ლი ივნისიდან, კვების ობიექტებისთვის შაბათ-კვირას მოქმედი შეზღუდვა სრულად მოიხსნა, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ საშუალება აქვთ, სტუმრები შაბათ-კვირას დახურულ სივრცეშიც მიიღონ;

1-ლი ივნისიდან გაიხსნა სახმელეთო საზღვრები;

1-ლი ივნისიდან იმ ქვეყნებს, რომელთა მოქალაქეებსა და რეზიდენტებს საქართველოს საზღვრის კვეთა ბოლო 72 საათში ჩატარებული PCR-ტესტის უარყოფითი პასუხით შეუძლიათ, დაემატა კანადა, იაპონია, კუვეიტი, ჩინეთი, სამხრეთ კორეა, მოლდოვა, ომანი.

1-ლი ივნისიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის პროცესში ფერმერთა მხარდაჭერის მიზნით ღამის საათებში გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვა, 23:00-04:00 საათამდე პერიოდში ამოქმედა.

21 ივნისიდან ღია სივრცეებში პირბადის ტარება სავალდებულო აღარ არის და მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს;

1-ლი ივლისიდან გაუქმდა ღამის საათებში – 23:00-04:00 საათამდე გადაადგილებაზე მოქმედი შეზღუდვა;

7 ივლისიდან სპორტულ ღონისძიებაზე დამსწრე პირების რაოდენობა შემდეგნაირად განისაზღვრა – დახურულ სივრცეში ადგილების საერთო რაოდენობის 30%; ღია სივრცეში – 50%.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მელია, ხოშტარია, ჯაფარიძე ერთი პარტიაა“

## გიგა ბუკია: „ნაცმოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ ერთმანეთი ჰაერივით სჭირდებათ“

მარიამ მჭედლიშვილი

**ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ყოფილ დეპუტატ გიგა ბუკიას.**

***– თბილისის მერობის ორი მთავარი კანდიდატი გამოკვეთილია – კალაძე და მელია. რა მოლოდინი გაქვთ?***

– ჯერ ყველა კანდიდატი არ დასახელებულა. სხვებიც დასახელდებიან. თუ ყველაფერი ასე დარჩა, გამოვა, რომ ისევ ორი ძალაა არენაზე და ისევ ორიდან ერთ-ერთის არჩევა გვიწევს. კი ამბობენ, რომ ნიკა მელია არის რამდენიმე ოპოზიციური პარტიის მიერ მოწონებული კანდიდატი, მაგრამ, სინამდვილეში, ეს ერთი ძალაა. ხოშტარია და ჯაფარიძე ადრე იყვნენ ნაციონალურ მოძრაობაში. ნაციონალური მოძრაობა გაიშალა.

***– გაიშალა, თუმცა ამ საკითხში ყველა ვერ გაერთიანდა.***

– ნაციონალური მოძრაობა გაიშალა. ეს იყო ამ პარტიის ტაქტიკა. ზოგიერთი ყოფილი ნაციონალი არასამთავრობო ორგანიზაციაში წავიდა, ზოგი – ექსპერტად, ზოგი – სხვა პარტიაში. ეს ადამიანები მაინც ერთ ფრონტს წარმოადგენენ. საპრეზიდენტო არჩევნების დროს ყველანი დავრწმუნდით, რომ გაშლილებს შეუძლიათ ერთად დადგომა. მაშინ ისინი ყველანი გაერთიანდნენ ნაცმოძრაობის კანდიდატ გრიგოლ ვაშაძის გარშემო. თუ საქმე კოალიციურ მთავრობაზე მიდგება, ყველანი ერთად იქნებიან, მათ შორის, გიორგი ვაშაძეც, რომელიც ამჟამად მელიასთან არ ერთიანდება. სამწუხაროდ, ისევ გამოჩნდა, რომ ხელი ეწყობა ორპოლუსიანობას, ნაცმოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ კი ერთმანეთი ჰაერივით სჭირდებათ. კონფრონტაციის გაღრმავება ამ ძალებს შორის აუცილებელია იმისთვის, რომ არ გამოჩნდეს სხვა ძალა.

***– გახარიასაც ხომ ეწყობა ხელი? ბიუროკრატიის ნაწილი გადადის მის პარტიაში, მის გაპიარებაში კი ყველა მონაწილეობს.***

– ვერ გეტყვით, ვინ უწყობს ხელს გახარიას. პირადად მე ის ვიცი, რომ მას ბათუმის ოფისი წაართვეს. მასთან მიდიან ჩინოსნები. ეს, იცით, რატომ ხდება? იმიტომ, რომ ხალხს ყელში ამოუვიდა ნაცები და „ოცნება“ და მათი კინკლაობა. ხალხს უნდა მესამე ძალა. ამ დროს „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა დაკავებული არიან სიტუაციის რადიკალიზაციით.

***– ამ რადიკალიზაციამ თეატრალური ფორმებიც ხომ არ მიიღო? ხალხს ბოლო დროს შესთავაზეს უცნაური სანახაობა – ოპოზიციონერი დეპუტატები ხტებიან მაგიდებზე სხდომათა დარბაზში, კულტურის მინისტრი მიკროფონს ართმევს ერთ-ერთი არხის ჟურნალისტს და სხვა.***

– ჩემი აზრით, სანახაობებს აწყობენ პოლიტიკოსები, რომლებსაც საკუთარი მიზნები აქვთ. სანახაობების მომწყობი პოლიტიკოსები ორივე მხრიდან საკუთარი თავის დამკვიდრებასა და ერთგულების დამტკიცებას ცდილობენ. ნაცმოძრაობის წევრები სააკაშვილს უმტკიცებენ, რომ მაგარი გოგო-ბიჭები არიან, „ოცნების“ წევრები კი – თავიანთი პარტიის ლიდერებს. როცა პარტიებს არა აქვთ იდეოლოგია და მათი წარმომადგენლები ეძებენ ადგილს მზის ქვეშ, ადგილი ეთმობა ხელოვნურ კონფლიქტებსა და სანახაობას.

***– იდეოლოგია ახსენეთ. ბოლო ხანს კონსერვატიულ იდეოლოგიას დისკრედიტაციას ხომ არ უკეთებენ? მორწმუნეობისა და ტრადიციონალიზმის საფარქვეშ ხდება საშინელება.***



„სანახაობების მომწყობი პოლიტიკოსები საკუთარი თავის დამკვიდრებასა და ერთგულების დამტკიცებას ცდილობენ“

– ამაშიც მონაწილეობენ ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“. ნაცმოძრაობა უფითილებს ლგბტ-პირების დამცველებს, „ქართული ოცნება“ კი აქეზებს ორივე დაპირისპირებულ მხარეს. ამის შედეგად ზიანდება ქვეყანა. კონსერვატიული იდეების დაცვა არ ხდება ცხვირ-პირის დალეწვით. „ქართულ ოცნებაში“ დღეს თითო-ოროლა კონსერვატორი შემორჩა. როცა ჩვენ ვიყავით კოალიციაში მმართველ პარტიასთან ერთად, ტრადიციული ღირებულებების დაცვა და გატანა გვიხდებოდა. ეს ხდებოდა კოალიციის შიგნით. ხალხმა ამის შესახებ ცოტა რამ იცის. ბევრი კამათი მოგვდიოდა ნარკოტიკების მოხმარების ლიბერალიზაციისა და ანტიდისკრიმინაციული კანონის საკითხებზე.

***– ანტიდისკრიმინაციული კანონი მაინც გავიდა.***

– გავიდა, მაგრამ – ერთი პირობით. პირვანდელი ვარიანტი ბევრად უარესი იყო. ბევრი ვიბრძოლეთ, რომ კანონის პირობა ყოფილიყო ჩანაწერი ოჯახის შესახებ კონსტიტუციაში. ეს ჩანაწერი მოგვიანებით გაკეთდა.

***– კონსერვატიულ იდეოლოგიას სხვებიც ხომ იყენებენ?***

– რასაკვირველია. როცა ვთქვი, რომ „ქართული ოცნება“ აქეზებს ორივე მხარეს, ვიგულისხმე გარკვეული ჯგუფები, რომლებიც კონსერვატიზმის სახელით სასტიკად უსწორდებიან თანამოქალაქეებს. ამით ამ იდეოლოგიას ჩრდილს აყენებენ. კონსერვატიზმი არ ნიშნავს ჯოხების ხელში აღებას, სიძულვილსა და ადამიანების დასისხლიანებას. როგორც გითხარით, ამ დაპირისპირებებით სარგებლობენ „ოცნება“ და ნაცმოძრაობა, ქვეყანა კი ზიანდება.

***– ადგილობრივ არჩევნებს დავუბრუნდეთ. პროპორციულ ნაწილში რა არის მოსალოდნელი?***

– ახლანდელი არჩევნების პროპორციული ნაწილის მთავარი საკითხია „მიშელის დოკუმენტში“ ჩადებული 43%-იანი ბარიერი. ყველამ იცის, რომ თუ მმართველი პარტია მას ვერ გადალახავს, მომავალ წელს ინიშნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. არსებობს მოლოდინი, რომ შეიცვალოს ხელისუფლება და ჩამოყალიბდეს კოალიციური მმართველობა.

***– შესაძლებელია თუ არა, თბილისში მერად მივიღოთ კალაძე და მასთან ერთად – ოპოზიციური საკრებულო?***

– ეს შესაძლებელია თეორიულადაც და პრაქტიკულადაც. ბევრ ქვეყანაში ასე ხდება და ეს ნორმალურია. ყველაფერი ამომრჩეველზეა დამოკიდებული. დასანანია, რომ წინა არჩევნებზეც ადამიანებმა არჩევანი გააკეთეს „მიშა მოდის“ შეძახილების ფონზე. ფაქტია, რომ ხალხის უმრავლესობას აშინებს სააკაშვილის დაბრუნება, „ქართული ოცნება“ კი ამით სარგებლობს. თუმცა 2020 წლის არჩევნების შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. მმართველ პარტიას გამოეცალა ლოკომოტივი ბიძინა ივანიშვილის სახით, ასევე გადადგა პრემიერი გახარია. „ოცნებას“ ამით ბევრი რამ მოაკლდა.

***– გრძელდება მოთხოვნები პრემიერის გადადგომის თაობაზე.***

– ჩვენ, კონსერვატორებს, მიგვაჩნია, რომ ქვეყანაში კრიზისული ვითარება, იგივე სიტუაცია, როცა „რაც უარესია, მით უკეთესია ოპოზიციისთვის“ არ არის კარგი. ცუდია, როცა პოლიტიკოსები ერთმანეთს ვერ ელაპარაკებიან, საკითხებს ვერ წყვეტენ, როცა ახდენენ მდგომარეობის რადიკალიზაციას. არ გვგონია, რომ პრემიერის გადადგომის საკითხის დაყენება ახლა ქვეყანას სჭირდებოდეს. ქვეყანა უნდა იმართებოდეს ხალხის მიერ. ხელისუფლებაში უნდა მოდიოდნენ საზოგადოების მიერ არჩეული ადამიანები. კრიზისის გამოწვევა ან გამწვავება სწორად არ მიგვაჩნია.



# „ხალხმა ვერ გაარკვია, გახარია ვის უპირისპირდება“

## რამაზ საყვარელიძე: „ოპოზიციამ არ იმუშავა, არ იზრუნა სერიოზულ შედეგზე. ვგულისხმობ 2012 წლიდან მოყოლებული, დღემდე“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო რამაზ, ადგილობრივი არჩევნების ინტერესს ერთიორად ზრდის 43%-იანი ზღვარი, რომელიც ოპოზიციისა და ხელისუფლების შეთანხმებით დაწესდა. როგორია ოპოზიციის კანდიდატების ნიკა მელიასა და ელენე ხოშტარიას შანსები?***

– ოპოზიციის სტრატეგიული მიზანია, 43% არ აალებინონ „ქართულ ოცნებას“ და ამ გზით ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს. ამ მიზნის მისაღწევად ოპოზიციას ძირითადი ძალები რეგიონებში უნდა გადაენაწილებინა, სადაც შეეძლო ბევრად მეტი ხმების აღება, ვიდრე დედაქალაქში. თბილისში კალაძესთან ბრძოლა არ იქნება მარტივი საქმე, ამიტომ ოპოზიციისთვის ბევრად უფრო მომგებიანი იქნებოდა რეგიონებზე ყურადღების გადატანა. მათი მიზანი ხომ 43%-იან ბარიერს არის მიბმული და არა თბილისში მოგებას! მელიაც და ხოშტარიაც რეგიონებში ბევრად უფრო შედეგიანი შეიძლება ყოფილიყვნენ. რა თქმა უნდა, თბილისში გამარჯვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართულ პოლიტიკაში, გარდა იმისა, რომ დედაქალაქზეა საუბარი, თბილისშია ნახევარი საქართველო, მაგრამ ეს გაცილებით რთული ამოცანაა, თუ რეალობას გავუსწორებთ თვალს.

ამიტომ ვამბობ, რომ წამგებიან სტრატეგიაზე ააგო ოპოზიციამ თავისი საარჩევნო კამპანია, თან, როგორც წესი, ნაციონალური მოძრაობა თბილისს აგებს ყოველთვის. ნაციონალების ლიდერის დაყენება მთავარ კანდიდატად ამ ბრძოლას პარტიულ ბრძოლად გადააქცევს ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ შორის. პარტიულ ბრძოლას კი „ქართული ოცნება“ მოიგებს, როგორც აქამდე. ოპოზიციამ უკვე დაუშვა რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი შეცდომა.



„გახარიას პარტიის გასწვრივ რამდენპროცენტიანი მაჩვენებელი დაფიქსირდება, ამას ექნება მნიშვნელობა საპარლამენტო არჩევნებისთვის“

***– როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ შეძლო ოპოზიციამ გაერთიანება?***

– ოპოზიციამ არ იმუშავა. მთლიანობაში, ოპოზიციამ არ იზრუნა სერიოზულ შედეგზე. აქ ვგულისხმობ 2012 წლიდან მოყოლებული, დღემდე. არ იზრუნა იმაზე, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში ოპოზიციას სერიოზული შედეგი დაედო. ნაციონალურმა მოძრაობამ არ გააანალიზა, რატომ თქვა მათზე ხალხმა უარი, მონანიებაზე რომ აღარაფერი ვთქვა.

***– არჩევანი ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ შორის არის?***

– თუ არ გაჩნდება რეალური ახალი პოლიტიკური ძალა, რასაკვირველია, მხოლოდ ეს არჩევანია. გახარიასა და მის პოლიტიკურ ჯგუფს აქვთ ეს პრეტენზია, მაგრამ, ვნახოთ, თუ მოიკრებენ მხარდამჭერებს საიმისოდ, რომ გარკვეული წონა შეიძინონ, რათა მართლაც იქცნენ მესამე ცენტრად. არც ერთი მიმართულებით თუ არ გადაიხრებიან, ეს შანსი გახარიას აქვს. თუ რეალურად ეს შანსი კარგად გამოიყენა გახარიამ და, რასაკვირველია, თუ შეძლო ხალხის მიმხრობა, მაშინ ეს ძვირად დაუჯდება როგორც „ქართულ ოცნებას“, ისე ნაციონალურ მოძრაობას.

***– რამდენად სწორად აკეთებს ამისთვის ყველაფერს გახარია?***

– პოლიტიკური ცხოვრება გვიჩვენებს, რას იზამს.



***– ალბათ, ეს ადგილობრივი არჩევნებიც ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევა იქნება.***

– რა თქმა უნდა! ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნებია გახარიასთვისაც ეს არჩევნები. გახარიას პარტიის გასწვრივ რამდენპროცენტიანი მაჩვენებელი დაფიქსირდება, ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება სწორედ სამომავლოდ, მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის.

ბევრი მიიჩნევს და მეც ვთვლი, რომ გახარია ნელა მოქმედებს. შიგადაშიგ შეცდომები იყო. ადამიანებმა ვერ გაარკვიეს, ვის უპირისპირდებოდა. „ოცნებას“ სრულიად ღია შეტევა ჰქონდა ნაციონალურ მოძრაობასთან ფარულ კავშირებზე, რასაც გახარიამ დამაჯერებელი პასუხი გასცა, მაგრამ ეს უფრო ადრე უნდა გაეკეთებინა. თუ ასეთი შეცდომები არ იქნება და ბევრად უფრო ენერგიულად გადადგამს ნაბიჯებს, უფრო დამაჯერებელი იქნება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკაში, მაშინ გახარიას აქვს შანსი, რომ მესამე ძალის ფორმირება მართლაც შეძლოს.

ქართული პოლიტიკური ცხოვრებისთვის ძლიერი მესამე ძალის გაჩენა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. დაახლოებით 60%-მდეა გადაუწყვეტელი ამომრჩეველი, რომელიც ჯერ ისევ ელოდება იმ ძალას, რომელთანაც მოახდენს იდენტიფიცირებას. მესამის გაჩენა, რა თქმა უნდა, უკვე ახალ რეალობას შექმნის და უფრო მარტივი იქნება ამომრჩევლისთვის არჩევანის გაკეთებაც, თუმცა, როგორც გითხარით, ეს ადგილობრივი არჩევნები ამ მიმართულებით ბევრს გამოაჩენს გახარიასთვისაც.

# „ვადამდელი არჩევნები რეალურია და რა 10-წლიან გეგმაზეა ლაპარაკი“

## ვახტანგ მაისაია: „შეიძლება, ჯიჰადიზმის ტალღა ჩვენი ქვეყნისკენაც წამოვიდეს“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.**



***– ბატონო ვახტანგ, ხელისუფლებამ თავდაცვის სისტემის განვითარების 10-წლიანი გეგმა წარმოადგინა. თქვეს, რომ თავდაცვის მომავალი ხედვა ლოკალური, რეგიონული და გლობალური უსაფრთხოების გამოწვევების ანალიზს დაეფუძნა. წარმოდგენილ გეგმას თქვენ როგორ აფასებთ?***

– ამ გეგმის შედგენისას სამხედრო უსაფრთხოების სპეციალისტები არ იყვნენ მიწვეული. თავდაცვის ძალების სარდლობაში მაღალი პროფესიონალები არიან. ისინი მაღალ დონეზე ავითარებენ ურთიერთობას სამოქალაქო საზოგადოებასთან, განსხვავებით თავდაცვის სამინისტროსაგან, რომელიც სამხედრო უსაფრთხოების დარგის სპეციალისტებთან არ თანამშრომლობს.

საქართველოში ძალიან ცოტა სამხედრო ანალიტიკოსია, აკადემიური დონის სამხედრო სპეციალისტები, რომლებსაც სამხედრო მეცნიერებაში ხარისხი აქვთ ან ამ მიმართულებით სპეციალური ნაშრომები და მონოგრაფიები დაწერეს და საზოგადოებაში გარკვეული წონა გააჩნიათ, თუმცა თავდაცვის სამინისტრო მათთან არ თანამშრომლობს. ამიტომ 10-წლიან გეგმაზე რა ვილაპარაკო.

პრინციპში, საქართველოს თავდაცვის პოლიტიკა მიმართულია ევროატლანტიკურ ორიენტაციაზე, მაგრამ გასათვალისწინებელია ბოლო რეგიონული კონფლიქტები, როგორიცაა ყარაბაღის ომი. ახლა ავღანეთში სერიოზული დაპირისპირებაა. თალიბანი ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს ემუქრება.

არ არის გამორიცხული, ალ ქაიდას სამხედრო დაჯგუფებები გაჩნდნენ და სამხედრო ექსპანსია მოახდინონ არა მარტო ცენტრალურ აზიაში, არამედ კავკასიის რეგიონში. ავღანეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებით გარკვეული სახის ჯიჰადისტური, ტერორისტული ორგანიზაციების გადაადგილება უკვე შეინიშნება.

***– რას გულისხმობთ?***

– იგულისხმება ახლო აღმოსავლეთიდან ავღანეთის მიმართულებით გადაადგილება. არ არის გამორიცხული, კავკასიის რეგიონში ჯიჰადისტური სამხედრო საფრთხის ახალი კერები გაჩნდეს ავღანეთის ტერიტორიაზე თალიბანის მიერ განხორციელებული საკმაოდ წარმატებული ოპერაციის შედეგად. ავღანეთიდან ჩვენი სამხედრო ძალები დროზე გამოვიყვანეთ. იქ საკმაოდ სერიოზული პროცესები მიმდინარეობს.

***– კავკასიის რეგიონში რუსეთიც ხომ არის?***

– რუსეთი აძლიერებს თავის დაჯგუფებას ჩრდილოეთ კავკასიაში. შესაბამისად, ეს ფაქტორიც მნიშვნელოვანია. თურქეთის ფაქტორიც ძლიერდება. თურქეთი აპირებს, გააძლიეროს თავისი ყოფნა სამხრეთ კავკასიაში და თავისი გეოსტრატეგიული მიზნების პლაცდარმად აქციოს. თურქეთი ავღანეთში შესვლასა და დარჩენას გეგმავს. ესეც საინტერესო მომენტია. თურქეთისთვის კავკასიის რეგიონში სამხედრო ჰეგემონობისთვის მნიშვნელოვანი არეალი იქნება.

შეიძლება, ნარკოტრეფიკინგი წამოვიდეს და ამას სამხედრო ტიპის ასიმეტრიული საფრთხეები მოჰყვეს. ესეც უნდა გავითვალისწინოთ. ბევრი გამოწვევაა, რომლებიც დღეს შეიძლება საქართველოს შეეხოს.

***– ანუ კავკასიაზე სხვადასხვა მხრიდან სერიოზული შეტევის საფრთხეები იკვეთება?***

– ნამდვილად. კავკასიის რეგიონი შეიძლება გადაიქცეს გეოსტრატეგიული არასტაბილურობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად. აღმოსავლეთი, კავკასია და ცენტრალური აზია სამიზნეებია ავღანეთის თაოსნობით. ეს ყველაფერი ერთ კონტექსტში უნდა განვიხილოთ და რუსული ექსპანსიონიზმის ელემენტებიც გავითვალისწინოთ,

რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ბოლო ვარიანტში ჰიბრიდული ომი მიიჩნევა ჩვეულებრივი, დავუშვათ, კონვენციური ომის წარმოების ერთ-ერთ საშუალებად. ეს რუსეთმა თავისი ეროვნული სტრატეგიის კონცეფციაში დააფიქსირა. ძალიან ბევრი საფრთხეა, მაგრამ, არ ვიცი, ხელისუფლება და თავდაცვის სამინისტრო რა გეგმებს ადგენენ.

***– განაცხადეს, რომ წარმოდგენილ 10-წლიან გეგმაში შედის თავდაცვის ძალების გაძლიერება.***

– ეს ისედაც ცხადია.

***– ძირითად პრიორიტეტებად განისაზღვრა ჯავშანსაწინააღმდეგო, საარტილერიო, საჰაერო, საინჟინრო და სადაზვერვო მიმართულებების გაძლიერება. ეს გაზრდის ჩვენს მობილობას, კონტრმობილობას და საჰაერო ძალებს არსებითად ახალ ეტაპზე გადაიყვანსო. მათ მიერ გამოყოფილ პრიორიტეტებს ხომ არაფერს დაამატებდით?***

– როცა სამხედრო ხელოვნების განვითარებაში, ახალი ტექნოლოგიების გათვალისწინებით, რევოლუციური გარღვევებია და უკვე საუბარია არა მეოთხე თაობის, არამედ მეხუთე თაობის პინუსის ომებზე, რომელიც აბსოლუტურად სულ სხვა – კინეტიკური განვითარების საფუძველზე ხორციელდება, ათწლიან პერიოდში 10-წლიანი გეგმა შეიძლება ისე მოძველდეს, რომ, ვინც ეს გეგმა დაწერა, მათაც ორი აგური ირტყან თავში. სამხედრო ტექნოლოგიების სერიოზული განვითარება ხდება. რატომ არ არის დრონების განვითარებასა და ავიაციაზე საუბარი?

***– ჩვენი ქვეყანა დრონების გამოშვებას ამ წლის ბოლოს დაიწყებსო.***

– გააჩნია დრონებს. მეხუთე თაობის დრონების გამოშვება იგეგმება. თუ ამ დროს ჩვენთან პირველი და მეორე თაობის დრონების გამოშვებაზე ვსაუბრობთ, რა შეღავათია. აქ საუბარია სამხედრო რობოტების ათვისებაზე, კიბერთავდაცვის ახალი ტექნოლოგიების შემოტანასა და განვითარებაზე, ჰეტეროცენტრისტული ომების წარმოების თეორიაზე.

პარალელურად ხომ უნდა ვიზრუნოთ ასიმეტრიულ სამხედრო საფრთხეებზე, შეიძლება, ჯიჰადიზმის ტალღა ჩვენი ქვეყნისკენაც წამოვიდეს. დღეს ავღანეთი ყველაზე ცხელი წერტილი ხდება. ბაიდენის ადმინისტრაციის მთავარი პრობლემა ავღანეთია, ახლა ყველაფერი ავღანეთისკენაა მიმართული. ბაიდენისა და მერკელის შეხვედრაზეც აღინიშნა, რომ ფაქტობრივად უკრაინის პრობლემა მეორე, მესამე და მეათე პლანზე გადავიდა.

ბაიდენის მთავრობისთვის სამი ძირითადი პრობლემაა: ავღანეთის პრობლემა (რომელიც დიდი თავსატეხია ამერიკისათვის), ირანის ბირთვული პროგრამა და აღმოსავლეთში არსებული უმძიმესი სიტუაცია (რომელიც ამერიკელებისთვის არამომგებიანია), ბირთვული ბალანსის, ანუ ბირთვული ბალანსი რუსეთის ფედერაცია ჩინეთთან და არქტიკის ზონის პრობლემა, არქტიკაში ამერიკის თავდაცვითი პოლიტიკის წარმოება.

ავღანეთი ამერიკისთვის უპირველესი პრობლემაა. დღეს ამერიკელები ავღანეთის მიმდებარე ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების განთავსებას ითხოვენ და რეგიონის სახელმწიფოები უარზე არიან ამერიკული ბაზების განთავსებაზე. პაკისტანიც კი უარზეა ამერიკის სამხედრო ბაზების განთავსებაზე.

***– ამ ფონზე რამდენად სწორი იყო ავღანეთიდან ამერიკის ჯარის გამოყვანა?***

– ავღანეთიდან ჯარების გამოყვანა, როგორც ვითარებამ აჩვენა, ნაადრევი იყო. დღევანდელი პირობების გათვალისწინებით, ამერიკის სადაზვერვო სამსახურის უფროს ნიკოლოზ სპენსის პროგნოზით ავღანეთის დღევანდელი მთავრობა შეიძლება დაეცეს რამდენიმე თვეში, საუბარია მაქსიმუმ 6 თვეზე. ამას მეც ვიზიარებ.

***– საქართველოსთვის მთავარ საფრთხედ რუსეთი, მის მიერ ჩვენ წინააღმდეგ ჰიბრიდული მეთოდებით ბრძოლა და ბორდერიზაცია დასახელდა.***

– რუსეთმაც დაიწყო თავისი პოტენციალის განვითარება. რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ შეიძლება განხორციელდეს პირდაპირი აგრესიაც კი. დღეს რუსეთს საქართველოში თავისი საყრდენი წერტილები აქვს, ოკუპირებულ აფხაზეთში შექმნილია სომხურ-აფხაზურ-რუსული სამხედრო კოალიცია, სამხედრო დაჯგუფება. რუსეთმა შეიძლება გაიმეოროს 2008 წლის აგრესია ყოველგვარი ჰიბრიდული ომის გარეშეც.

რუსეთის შეიარაღებულ ძალებში შეიქმნა კიბერთავდაცვის სამხედრო ძალები. სპეციალური შტაბიც შეიქმნა. ისინი უკვე მზად არიან სამხედრო ოპერაციებისთვის კიბერსივრცეში ყოველგვარი შესავლისა და მანიპულაციების გარეშე. ამავე დროს, რუსეთმა გააძლიერა თავისი სამხედრო ყოფნა აზერბაიჯანსა და სომხეთში.

აქ თურქეთის ფაქტორიც შემოდის, რომელიც დასავლეთისაგან ცოტა განსხვავებული პოზიციებით იქცევა. თურქეთი აპირებს, აზერბაიჯანში გახსნას სამხედრო ბაზა, რომ შემდეგ ეს ბაზები გამოიყენოს ავღანეთში თავისი ექსპანსიური მიზნების განსახორციელებლად. თურქეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება თურქეთის შეიარაღებული ძალების ავღანეთში შესაყვანად და ავღანეთში არსებული თურქულენოვანი ტომების გამოყენებით თავისი ინტერესების განხორციელებას შეეცდება. ესეც უნდა განვიხილოთ.

ჯიჰადიზმის პრობლემაც შეიძლება გაჩნდეს. საქართველო ერთხელ უკვე დადგა ამ საფრთხის წინაშე. თავის დროზე ჩვენი ჯარისკაცების მომზადებაში ვმონაწილეობდი, ლექციებსაც ვუკითხავდი 2008-2009 წლებში და ჩემი წვლილი შევიტანე. ავღანეთი საკმაოდ კარგად ვიცი. ავღანეთში სამუშაოდ მივდიოდი, ავღანეთის მთავრობის მიწვევით, სამხედრო-პოლიტიკურ მრჩევლად ვინიშნებოდი (ახლა შემიძლია გავხსნა კარტები). იქ ვაპირებდი წასვლას და უცებ ვანო მერაბიშვილმა დამაპატიმრა. არ გამოვრიცხავ, ეს რუსების შეკვეთა ყოფილიყო. ავღანეთის მთავარ ოფიციალურ ენას, პუშტუს, საკმაოდ ნორმალურ დონეზე ვფლობ.

***– 10-წლიანი გეგმის წარდგენაზე ითქვა, რომ გრძელვადიანი გეგმის მიზანია თანამედროვე საშუალებით აღჭურვილი, მოდერნიზებული, გრძელვადიანი თავდაცვის ძალების ჩამოყალიბება, ძველი საბჭოური ტექნიკის შეცვლა, ანუ დამოუკიდებლობის 30 წლისთავზე საბჭოური სამხედრო ტექნიკა გვაქვს?***

– რატომ გიკვირთ?

***– მიკვირს, რადგან ჯერ 13 წელი შევარდნაძე იყო, შემდეგ 9 წელი სააკაშვილი იყო და მილიარდები იხარჯებოდა სამხედრო ტექნიკისა და აღჭურვილობის შესაძენად. 8 წელია, „ოცნების“ ხელისუფლებაა და ნუთუ აქამდე საბჭოური ტექნიკის შეცვლა ვერ მოხერხდა?***

– აგვისტოს ომის პერიოდში საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არსებული ტექნიკის 80% რუსული საბჭოთა შეიარაღებისა იყო. მხოლოდ 20% იყო დასავლური, ნატოს სტანდარტების შეიარაღება.

***– სააკაშვილის დროს შეიარაღებისთვის განკუთვნილი მილიარდები დაიკარგა, რაც დღემდე არავის მოუკითხავს.***

– ასეა. თუ ახლა ამერიკამ საქართველოს წინააღმდეგ სანქციები აამოქმედა, შეიძლება, ეს შეიარაღებასაც შეეხოს. ამას არ გამოვრიცხავ, რადგან ბაიდენის ადმინისტრაციამ უკვე სანქციებზე დაიწყო საუბარი. თუ სანქციებს პოლიტიკურ თემაზე გამოგვიცხადებენ, შეიძლება, ეს შეიარაღებასაც შეეხოს. ბაიდენის ადმინისტრაციამ ასე უკრაინას გაუკეთა – უკრაინისთვის სამხედრო შეიარაღების მიწოდება გაყინა.

***– უკრაინას იარაღს ხომ ჩუქნიდნენ, რატომ შეუჩერეს იარაღის მიწოდება?***

– უკრაინაში არაფორმალური ოლიგარქიული მმართველობაა, მაღალ დონეებზე კორუფციაა, თავდაცვის სისტემების მართვაში სერიოზული პრობლემებია. ნატოს დოკუმენტებში პირდაპირაა დაფიქსირებული უკრაინის სამხედრო მმართველობაში არსებული პრობლემები.

ჩვენ კი ვვითარდებით, მაგრამ სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემაში სერიოზული პრობლემები გვაქვს, საიდუმლო ინფორმაციის საკითხში საბჭოთა მოდელს ვერ გავცდით. თავდაცვის რესურსების საკითხშიც პრობლემებია. ქვეყანაში არსებული პოლიტიკური არასტაბილურობა და კრიზისი ევროინტეგრაციის შემაფერხებელი მომენტია. უკვე სანქციებზე დაიწყო საუბარი.

შარლ მიშელი ჩამოვიდა და შეიძლება, დამოკიდებულება რბილი იყოს, ამერიკელებისაგან განსხვავებით. თუმცა ევროკავშირმაც გამოაცხადა, რომ ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი ტექნიკური გრანტის, 20 მილიონი ევროს გამოყოფა გადაიწევს. ევროკავშირი და ამერიკა უკვე სანქციურ პოლიტიკაზე გადავიდნენ. ეს უცხოურ გრანტებსა და დახმარებებსაც შეეხება. ილუზიები არ უნდა იყოს.

ჩვენს არ გვაქვს კონცეპტუალური თავდაცვითი დოქტრინული ხედვა – რა გვინდა, როგორ უნდა მოვაწყოთ ჩვენი თავდაცვის სისტემა. რა 10-წლიან პროგრამაზეა საუბარი, როდესაც ნახევარ წელიწადში, შეიძლება, პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალოს. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, მგონი, რეალური ფაქტია.

# ვანო მაჭავარიანი: „ამომრჩეველს მესამე ძალისთვის ხმის მიცემის არჩევანი უნდა ჰქონდეს“

– თუ ოპოზიციას მიაჩნია, რომ ყველა ოპოზიციური ხმა მათკენ წავა, ეს არასწორი იქნება – მნიშვნელოვანია, ადამიანს ჰქონდეს მესამე ძალისთვის ხმის მიცემის არჩევანი. იქნება ეს ვაშაძე, პეტრე თუ პავლე – თუ ვინმე შეძლებს ამომრჩევლის მობილიზებას, ეს ქართულ პოლიტიკურ სივრცეს წაადგება.

ამის შესახებ ექსპერტმა ვანო მაჭავარიანმა ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის ნიუსრუმში“ ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებულ პროგნოზებზე საუბრისას განაცხადა.

როგორც მაჭავარიანმა აღნიშნა, მესამე ძალის ნიშის ადგილის დაკავებას გიორგი გახარია ცდილობს, თუმცა „მან ჯერჯერობით, როგორც პოლიტიკურმა პარტიამ, პოზიციონირება ვერ შეძლო“.

– უნდათ, რომ იგივე წრე შემოგვთავაზონ, რითაც არჩევნები მთავრდება ხოლმე, ამას გვთავაზობს „ქართული ოცნებაც“ და ნაციონალური მოძრაობაც. „ქართულ ოცნებას“ საერთოდ არ უნდა ხელისუფლების დათმობა არანაირ პირობებში. ელემენტარული პროცენტების დათმობა არ უნდოდა. სადავო რაც იყო – 4-5%, ამაზეც კი ასეთი პრობლემური სიტუაცია შექმნეს და დაისტრესეს, მექანიკურად დაიწყეს ოქმების გადაკეთება.

მათი განცხადებებიდან გამომდინარე, მათთვის მთავარი არ არის მხოლოდ კალაძის არჩევა, რომელიც რაღაც პირობებით შემოვიდა. ძალიან უცაბედად გახდა ავად, უცაბედად გავიდა პოლიტიკური სივრციდან, გახარიას წასვლამ დააბრუნა კალაძე და, როგორც ჩანს, ის დაბრუნდა ახალი შესაძლებლობებითა და პირობებით. ამ ადამიანს არ ეტყობა, რომ ავად არის. ბიძინა ივანიშვილს აქვს ასეთი სტილი – უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გადადგა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ერთ თვეში დაბრუნდა უნივერსიტეტში, კარგი თანამდებობა აქვს. კალაძე ხდება ავად, განვიცდით, გახარია გადადგა, გახარიას გადადგომამ კალაძეს გაუხსნა შესაძლებლობა, „ოცნებაში“ ლიდერი იყოს.

თუ ოპოზიციას მიაჩნია, რომ ყველა ოპოზიციური ხმა მათკენ წავა, არასწორი იქნება, დავინახეთ, რომ „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას აქვთ ლიმიტი. „არანაცი“ და „არაქოცი“ ამომრჩეველი რჩება სახლში, ან იხრება „ქართული ოცნებისკენ“ და მესამე ძალის ნიშა ცარიელი რჩება, ამის შევსებას ცდილობს გახარია, მაგრამ მისი ამომრჩეველი ისევ „ოცნების“ ამომრჩეველია, რადგან მან ჯერჯერობით, როგორც პოლიტიკურმა პარტიამ, პოზიციონირება ვერ შეძლო და ვერც გააკეთებს.

მესამე ძალების შექმნამ შეიძლება გააერთიანოს ოპოზიციური ძალები, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის კალთის ქვეშ არ არიან – ეს თემა მიმზიდველად მიმაჩნია იმიტომ, რომ ეს ხმები დაიკარგება – გადავა გახარიასკენ. არ უნდათ არჩევანი „კოკაკოლასა“ და „პეპსის“, ანუ „ოცნებისა“ და ნაციონალურ მოძრაობის კანდიდატს შორის. გახარია არის „ოცნების“ ამომრჩეველი, რომელიც იმედგაცრუებულია კობახიძე-თალაკვაძით და, მეორე მხრივ, 2020-ის არჩევნებზე გახარიას პრემიერობას მისცა ხმა. მნიშვნელოვანია, ადამიანს ჰქონდეს მესამე ძალისთვის ხმის მიცემის არჩევანი. იქნება ეს ვაშაძე თუ პეტრე და პავლე – თუ ვინმე შეძლებს ამომრჩევლის მობილიზებას, ეს ქართულ პოლიტიკურ სივრცეს წაადგება, – განაცხადა მაჭავარიანმა.

გარდა ამისა, მაჭავარიანმა ისაუბრა არჩევნებთან დაკავშირებით შექმნილი დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნაზეც და აღნიშნა, რომ კომისიის დასკვნა არჩევნებთან დაკავშირებით კითხვებს არ აქარწყლებს.

– როგორც ჩანს, „ოცნებისთვის“ მნიშვნელოვანია, საერთაშორისო თანამეგობრობას აჩვენოს, რომ ეს გამოიკვლია და იგივე დასკვნამდე მივიდა, რაზეც თავის დროზე საუბრობდნენ. ეს არ ქმნის კონსენსუსს საზოგადოებაში და შეთანხმებას პოლიტიკურ პარტიებს შორის. ხელს არ უწყობს ნდობას, რომელიც ამ არჩევნებმა წაშალა, – განაცხადა მაჭავარიანმა.

რაც შეეხება პარლამენტის დღის წესრიგში არსებულ კიდევ ერთ საკითხს – ცესკოს დაკომპლექტებას, მაჭავარიანის აზრით, იყვნენ პიროვნებები, რომლებზეც მმართველ გუნდსა და ოპოზიციას შორის შეთანხმება შესაძლებელი იყო, თუმცა „ქართული ოცნება“ აგრძელებს პრინციპს: „ან ყველაფერი, ან არაფერი“.

– 2021-ში 43%-იანი ზღვარი, როგორც ჩანს, „ქართული ოცნებისთვის“ იმდენად მნიშვნელოვანია, რომ 6-თვიანი მექანიზმი აწყობთ, ოღონდ 2021 ისე ჩატარდეს, რომ 43%-იან ზღვარს გადააბიჯონ. ეჭვი მაქვს, რომ ამუშავდება იგივე მექანიზმები, რასაც ისინი პანდემიას, არაკომპეტენტურობასა და სტრესს აბრალებდნენ, იმ ადამიანების პირობებში, რომლებსაც მათ კომისიის თავმჯდომარეობა და წევრობა შესთავაზეს. ამიტომ, ვფიქრობ, ისევ იმ წერტილში ვართ, როდესაც ვიყავით 2020-ში, როდესაც ნდობა ამ არჩევნების მიმართ იყო პრობლემური, – განაცხადა მაჭავარიანმა.

# თბილისში მძარცველი ვითიბი ბანკში სავენტილაციო მილიდან შევიდა

გუშინ, 26 ივლისს, თბილისში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე ვითიბი ბანკის ფილიალის გაძარცვა ცადეს.

მძარცველმა ბანკში სავენტილაციო მილიდან შეაღწია. როდესაც ის თანამშრომელმა შეამჩნია, მას დაუდგენელი ნივთიერება შეასხა და ბანკი კვლავ იმავე გზით – სავენტილაციო მილიდან დატოვა.

სავარაუდოდ, მძარცველი ბანკში მის გვერდით მდებარე ღვინის ქარხნიდან მოხვდა.

მომხდარის შედეგად ჯანმრთელობის დაზიანება არავის მიუღია. მამაკაცმა ბანკიდან ფულის წაღება ვერ მოახერხა.

ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით (151-ე და 19/177-ე) მიმდინარეობს, რაც მუქარასა და ქურდობის მცდელობას გულისხმობს.

# ხობში ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონი ნუგზარ წურწუმია დააკავეს

სამართალდამცავებმა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონი ნუგზარ წურწუმია და ასევე მოჭიდავე ნიკა ყორშია ადმინისტრაციულ სამართალდადღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით დააკავეს, რაც პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობასა და წვრილმან ხულიგნობას გულისხმობს.



სამართალდამცავებმა ასევე დააკავეს ორი პირი, რომელთაც პოლიციელზე თავდასხმას სისხლის სამართლის კოდექსის 356-ე მუხლით ედავებიან.

ნუგზარ წურწუმიასა და ნიკა ყორშიას 3-3-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდათ, დანარჩენი ორი პირის მიმართ კი აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე სასამართლოს ჯერ არ უმსჯელია.

შემთხვევა ხობში ერთ-ერთ სუპერმარკეტთან მოხდა, სადაც დაკავებული პირები პოლიციის მოწოდებას არ დაემორჩილნენ.

ნაცემია 3 პოლიციელი.

შემთხვევა 25 ივლისს მოხდა.

პოლიციელებმა 4 ახალგაზრდას მანქანის გაჩერებასთან დაკავშირებით სიტყვიერი გაფრთხილება მისცეს, რამაც ახალგაზრდების გაღიზიანება გამოიწვია, ფიზიკურ დაპირისპირებას წინ უძღოდა სიტყვიერი შეურაცხყოფა.

ნაცემია ხობის პოლიციის კრიმინალური განყოფილების უფროსიც.

შემთხვევის დროს ბრალდებულები არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

# პარტნიორი ქვეყნის სიმბოლიკის დაზიანება 1.000 ლარით დაჯარიმდება

საქართველოს პარტნიორი ქვეყნების სიმბოლოების დაზიანებაზე სანქციები წესდება. აღნიშნულ საკითხზე პარლამენტის ბიურომ იმსჯელა. კანონპროექტის მიხედვით, შეიქმნება შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი და ევროპის კავშირის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ან იმ საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური სიმბოლოს შებღალვა, რომლის წევრიც საქართველოა, ასევე იმ სახელმწიფოს ეროვნული სიმბოლოს შებღალვა, რომელთანაც საქართველოს აქვს დიპლომატიური ურთიერთობა და რომელიც აღმართულია ან გამოფენილია საჯარო დაწესებულებებზე, მის წინ ან შენობაში, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1.000 ლარით. ცვლილებებით განისაზღვრება, რომ აღნიშნული ქმედების განმეორებით ჩადენა გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარით ან ფიზიკური პირის ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.

# რუსთავში მე-9 სართულიდან 80 წლის მამაკაცი გადავარდა

რუსთავში, მე-14 მიკრორაიონში, საცხოვრებელი კორპუსის მე-9 სართულიდან 80 წლის მამაკაცი გადავარდა. მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა. ადგილზე სამართალდამცავები იყვნენ მობილიზებული.

# ლექსო ლაშქარავას მიმართ ძალადობისთვის დაკავებულ გია გიგუაშვილს პატიმრობა შეეფარდა

ტელეკომპანია „ტვ პირველის" ოპერატორ ლექსო ლაშქარავას მიმართ განხორციელებული ძალადობის ბრალდებით დაკავებულ გია გიგუაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება გუშინ, 26 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ეკატერინე კულულაშვილმა გამოაცხადა. სხდომაზე დაკავებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე იმსჯელეს.

პროკურატურა ბრალდებულისთვის ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა, დაცვის მხარე კი – გიგუაშვილის 3.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას.

ბრალდების მხარემ დაკავებულის მხრიდან მიმალვის, მოწმეებზე ზემოქმედებისა და მტკიცებულებების განადგურების საფრთხეებზე გაამახვილა ყურადღება.

დაცვის მხარე პროკურატურის შუამდგომლობას არ დაეთანხმა და აღნიშნა, რომ გიგუაშვილი თავს დამნაშავედ ნაწილობრივ ცნობს. კერძოდ კი, სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში, რაც ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლას გულისხმობს.





მოსამართლემ ბრალდების მხარის შუამდგომლობა სრულად დააკმაყოფილა. სამართალდამცველებმა გია გიგუაშვილი 2021 წლის 23 ივლისს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მეორე ნაწილით (ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ჩადენილი ძალადობის მუქარით), 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით (ადამიანის დევნა პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ჩადენილი ძალადობით) და 225-ე მუხლის მეორე ნაწილით (ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა) წარედგინა.

„ტვ პირველის" ოპერატორ ლექსო ლაშქარავასა და ამავე ტელეკომპანიის ჟურნალისტ მირანდა ბაღათურიას მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე ამ დროისთვის დაკავებულია ექვსი პირი, მათ შორის ხუთს პატიმრობა აქვს შეფარდებული.

„თბილისი პრაიდის" საწინააღმდეგოდ გამართული აქციის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ამ დროისთვის ბრალი 29 პირს წარედგინა. ამ ეტაპზე საქმეზე დაზარალებულად ცნობილია 52 პირი, მათ შორის 42 ჟურნალისტი და ოპერატორი.

# საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დამრღვევ პირებს ამნისტია შეეხებათ

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა პირველი მოსმენისთვის განიხილა მთავრობის მიერ ინიცირებული „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ" და „ამნისტიის შესახებ" კანონპროექტები, რომლებიც პანდემიის გამო დაწესებული რეგულაციების დამრღვევ პირებს შეეხება.

აღნიშნული ინიციატივით, 2021 წლის 23 ივნისამდე, ვინც იზოლაციის ან/და კარანტინის წესი, პირბადის ტარების წესი და საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი დაარღვია (იგულისხმება ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებული პირები თუ და სისხლის სამართლის წესით უკვე აღძრული საქმეები), ყველას ამნისტია შეეხება.

„ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ" კანონპროექტის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელისგან - ჯარიმის აღუსრულებელი ნაწილისგან გათავისუფლდებიან ის პირები, რომელთა მიმართაც ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება ამ კანონის ამოქმედებამდე არ აღსრულებულა.

„ამნისტიის შესახებ" კანონპროექტის შესაბამისად, დანაშაულის ჩამდენი პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან და ითვლება ნასამართლობის არმქონედ.

კომიტეტმა მხარი დაუჭირა კანონპროექტების პლენარულ სხდომაზე განხილვას.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ამ ინიციატივის ფარგლებში, ამნისტია შეეხება დაახლოებით 245 ათას მოქალაქესა და 344 იურიდიულ პირს.

– საუბარია იზოლაციის, კარანტინისა და პირბადის ტარების წესის გამო დაკისრებულ დაახლოებით 76 მილიონი ლარის გადაუხდელ ჯარიმებზე. ეს გადაწყვეტილება მივიღეთ პანდემიით გამოწვეული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. გვესმის, რომ არაერთი ჩვენი მოქალაქე და ბიზნესი დაზარალდა, 2020 წელი იყო ძალიან რთული და ეს სახდელები მათთვის არის დამატებითი ტვირთი.

რა თქმა უნდა, ჩვენ გვესმის, რომ ვირუსის მართვის დროს იყო და არის აუცილებელი რეგულაციების დაცვა, თუმცა ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მოქალაქეების ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქება. მადლობას ვუხდი პარლამენტს, გვქონდა კომუნიკაცია მმართველ გუნდთან და ეს ინიციატივა უახლოეს დღეებში იქნება დამტკიცებული", – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა 24 ივნისს გამართულ ბრიფინგზე.

# „სტარტოვკის" ტარება აიკრძალება

მიმდინარე წლის 14 ივლისს საქართველოს პარლამენტმა „იარაღის შესახებ" საქართველოს კანონსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში საკანონმდებლო ცვლილებები დაამტკიცა.

საქართველოს კანონმდებლობაში აქამდე განსაზღვრული არ იყო აკუსტიკური იარაღის, „სტარტოვკის" ცნება. როგორც ცნობილია, აკუსტიკური იარაღი არ წარმოადგენს თავდაცვის საშუალებას და მისი ერთადერთი დანიშნულება ფუჭი ტყვიების გასროლა და აკუსტიკური ეფექტის შექმნაა. შესაბამისად, მსგავსი ტიპის იარაღის შეძენა-შენახვა-ტარება და გამოყენება ნებისმიერ ადამიანს, მათ შორის არასრულწლოვანსაც კი ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეეძლო.

ბოლო პერიოდის პრაქტიკის ანალიზმა ცალსახად აჩვენა, რომ კრიმინალურ წრეებში უფრო და უფრო პოპულარული გახდა აკუსტიკური იარაღის გამოყენება სხვადასხვა მიზნით, მისი დაბალი ფასის, იოლი ხელმისაწვდომობისა და სამართლებრივი რეგულაციების არარსებობის გამო.

აღნიშნულს ადასტურებს 112-ში შესული არაერთი შეტყობინება, კერძოდ: 2019 წლის განმავლობაში მსგავსი იარაღიდან გასროლის შესახებ 360 შეტყობინება განხორციელდა, 2020 წელს – 500 შეტყობინება, 2021 წლის განმავლობაში უკვე – 150-ზე მეტი შეტყობინება.

საკანონმდებლო ცვლილებებით, საქართველოს კანონმდებლობა დაუახლოვდა ევროკავშირის რეგულაციებს. სწორედ ევროკავშირის დირექტივის თანახმად, აკუსტიკური იარაღის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ თეატრალურ წარმოდგენებში, ისტორიული რეკონსტრუქციაში, აღლუმებსა და სპორტულ ღონისძიებებში.

ცვლილებების თანახმად, აიკრძალა ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღის ტარება. გარდა ამისა, შესაბამისი სამართლებრივი აქტით განისაზღვრა კანონით დადგენილი მიზნით იარაღის განმუხტულ მდგომარეობაში გადატანა-გადაზიდვის ვალდებულება.

მოცემული რეგულაციების დარღვევისთვის, იარაღის კონფისკაციასთან ერთად, პირს დაეკისრება ჯარიმა 500 ლარის ოდენობით, 1 წლის განმავლობაში კანონდარღვევის განმეორებით ჩადენა კი 1000 ლარის ოდენობით დაჯარიმებასა და იარაღის კონფისკაციას გამოიწვევს.

ასევე ცვლილებების თანახმად, დასახლებულ ადგილას რეგისტრირებული სანადირო ან სპორტული პნევმატური იარაღიდან სროლისთვის დღეს მოქმედი სანქციები შესაბამისობაში მოვიდა საკანონმდებლო ცვლილებებთან და დასახლებულ პუნქტში გასროლისათვის არსებული ჯარიმა 200 ლარიდან გაიზარდა 500 ლარამდე.

# რუსთავში მანქანა 25 წლის ქალს დაეჯახა



24 ივლისს, ღამით, რუსთავში, მესხიშვილის ქუჩაზე, მსუბუქი ავტომობილი 25 წლის ქალს დაეჯახა.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ საპატრულო პოლიციისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟები.

დაშავებული „კლინიკა რუსთავში" გადაიყვანეს.

„კლინიკა რუსთავის" გადაუდებელი განყოფილების ექიმი გიორგი მოდებაძე „ინფო რუსთავთან" აცხადებს, რომ პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

– ჩაუტარდა შესაბამისი სამედიცინო კვლევები. ვიზუალური დათვალიერებით არ აღენიშნებოდა მოტეხილობები, პაციენტი გონზეა და ადეკვატურია, – განაცხადა ექიმმა.

# სამცხე-ჯავახეთში ყალბი სერტიფიკატების გაცემისთვის 1 ქალი ამხილეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო სამსახურმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, კომერციული მოსყიდვის ფაქტზე ერთი პირი ამხილა. ინფორმაციას უწყების პრესსამსახური ავრცელებს. უწყების ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოქმედი ერთ-ერთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დირექტორმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, შესაბამისი სასწავლო კურსების გავლის გარეშე, თანხის სანაცვლოდ მოქალაქეებზე გასცა ტექნიკური სპეციალობის შემსწავლელი კურსის დამთავრების დამადასტურებელი სერტიფიკატები.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით. დანაშაულებრივ კავშირში მყოფი სხვა პირების დადგენა-მხილების მიზნით შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება, – აღნიშნულია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# სისხლიანი გარჩევა ნაძალადევის მეტროსთან

გუშინ, 26 ივლისს, ნაძალადევის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე ერთმანეთს ახალგაზრდები დაუპირისპირდნენ. თვითმხილველების ინფორმაციით, ქუჩური გარჩევა ცენტრალურ გზაზე დაიწყო და მეტროს უკან, ნაძალადევის გამგეობასთან გაგრძელდა.

– ერთი სისხლიანი ბიჭი გამორბოდა, ხელი ჰქონდა დაზიანებული, – ამბობენ თვითმხილველები.

სავარაუდოდ, დაჭრილია ერთი პირი, ჩამსხვრეულია იქვე მდგარი მანქანის მინებიც. რა გახდა ანგარიშსწორების მიზეზი, უცნობია. დაპირისპირების მონაწილე ახალგაზრდები პოლიციას დაკავებული არ ჰყავს. ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ.

# თელავის რაიონში 2-სართულიანი სახლი ჩამოინგრა

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში წვიმის შედეგად ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი ჩამოინგრა.

შემთხვევის დროს ადგილზე 68 წლის ქალი იმყოფებოდა, რომელიც ნანგრევებიდან გამოსვლას ვერ ახერხებდა და სამაშველო სამსახური გამოიძახა.

დაზარალებულის თქმით, რამდენიმე წელია, სახლი ავარიულია, რის შესახებაც მერიას არაერთხელ მიმართა. მისი განმარტებით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ბინის დასაქირავებლად ყოველთვიურად 100 ლარის გადახდა შესთავაზა, რა თანხაშიც ალტერნატიული ფართის მოძიება ვერ შეძლო.

ემა ლომიძე დახმარებას ითხოვს.

ადგილზე იმყოფებოდა მერის წარმომადგენელი. დავით გიგაურის თქმით, ქალს დაუყოვნებლივ სხვა უსაფრთხო საცხოვრებელში გადაიყვანენ.

მისივე განცხადებით, მოქალაქეს მერიამ არაერთხელ შესთავაზა ალტერნატიული ფართი, თუმცა მან უარი განაცხადა.

# რუსეთის ხელისუფლებამ ალექსეი ნავალნის ვებგვერდი დაბლოკა

რუსეთის ხელისუფლებამ კრემლის კრიტიკოს ალექსეი ნავალნის ვებგვერდი დაბლოკა.

მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ რუსეთის მარეგულირებელმა „როსკომნადზორმა“ ნავალნი. კომთან ერთად ოპოზიციონერ პოლიტიკოსთან დაკავშირებული 48 პირისა და ორგანიზაციის ვებგვერდიც დაბლოკა.

როგორც „როსკომნადზორის“ წერილშია აღნიშნული, გადაწყვეტილება გენერალური პროკურატორის მოთხოვნის საფუძველზე მიიღეს.

მათივე განმარტებით, აღნიშნული ვებგვერდები სასამართლოს მიერ აკრძალულ მოძრაობებს პროპაგანდის გავრცელებასა და უკანონო საქმიანობის გაგრძელებაში ეხმარებოდნენ.

გასულ თვეში რუსეთის სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის მოთხოვნა ნავალნისთან დაკავშირებული ორგანიზაციების ექსტრემისტულ ორგანიზაციებად გამოცხადებასთან დაკავშირებით, რაც ოპოზიციონერი პოლიტიკოსის მოკავშირეებს სექტემბრის არჩევნებში მონაწილეობაში ხელს უშლის.

შეერთებულმა შტატებმა და ბრიტანეთმა სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება დაგმეს და რუსეთის პოლიტიკური ოპოზიციისთვის მიყენებულ დარტყმად შეაფასეს.

# ზურა პირველი: „ასე გავხდი მათხოვარი“



მსახიობი ზურა პირველი გულახდილად ყვება საკუთარ ისტორიას, როგორ გაუჭირდა ცხოვრება და როგორ გადაარჩინეს მეგობრებმა:

– იყო დრო, როცა ძალიან მაღალი ხელფასი მქონდა, მაგრამ 1994 წლიდან ჩემი ხელფასი ჯერ გაკუპონდა და შემდეგ მთლიანად გაქრა. შტატში აღარ ვიყავი არც ერთ თეატრში და მიწვევით სპექტაკლებში კაპიკებს მიხდიდნენ. ასე გავხდი მათხოვარი. ??

არასდროს მქონდა საჭმელი, მაგრამ მყავდა და მყავს მეგობრები. მეგობრებს მოჰქონდათ ჩემთვის საჭმელი და მაძლევდნენ ფულს. სულ მინდა ხოლმე, დავასახელო ჩემი „მარჩენალები“, მაგრამ სწყინთ და ამიტომ მეც ვდუმვარ. რამდენიმე განსაკუთრებით ახლობელთან როგორც სასადილოში, ისე დავდიოდი საჭმელად. დამირეკავდნენ ხოლმე: „დღეს ჭამე რამე?“ და რომ ვეტყოდი, არა, „მოდი, გაჭამო!“ და მეც მივდიოდი. როცა განსაკუთრებით ვჯიუტდებოდი, ფულს მიტოვებდნენ ჩუმად ხან ვაზაში, ხან ბალიშის ქვეშ, ხან წიგნში... მერე დამირეკავდნენ, აქა და აქ დევს ფულიო. ჰოდა, დავირქვი „ოლია მათხოვარი“.

ერთხელ ავად ვიყავი და ვიწექი. ერთი მეგობარი, მაშინ მინისტრის მოადგილე იყო, „მოვარდა“, გამოგავა, მთელი სახლი დამილაგა და „გავარდა“. დამირეკა, ვაზაში დევს ფულიო.

ვინც სტუმრად მოდიოდა, თვითონ მოჰქონდათ ხოლმე საჭმელ-სასმელი, ოღონდ ერთი პორცია კი არა, მთელი კვირის ან თვის სამყოფი.

იმ პერიოდში ჩემი მეგობარი ცხოვრობდა ჩემთან და ისიც გავამათხოვრე – ასე ერთად დავდიოდით ხოლმე საჭმელად ორი მათხოვარი.

რაც პოლონეთში გადმოვსახლდი, საჭმლის პრობლემა აღარ მაქვს, მაგრამ, ხომ იცით, თუ მათხოვრობა სისხლში გაქვს, ველარაფერი გამოგასწორებს: ოლია მათხოვარი ყოველთვის ოლია მათხოვარი იქნება. ახლა მამოგზაურებენ ჩემი მეგობრები, შემომატარეს მსოფლიო, მაგრამ ისევ ვერ ვასახელებ ჩემს მეცენატებს, გამიბრაზდებიან!

პ.ს. აგვისტოში თურქეთში მიდის ოლია მათხოვარი 2 კვირით.

# აშშ-ში ერთმანეთს 20 მანქანა შეეჯახა

## 7 ადამიანი დაიღუპა



აშშ-ის იუტის შტატში მასობრივი ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რომლის დროსაც ერთმანეთს 20 ავტომობილი შეეჯახა.

ინციდენტს 7 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, რამდენიმე დაშავებული კი კრიტიკულ მდგომარეობაში საავადმყოფოში გადაიყვანეს.

დაზარალებულთა ტრანსპორტირებისთვის საჰაერო და სახმელეთო სასწრაფო დახმარების მანქანები გამოიყენეს.

ადგილობრივი პატრულის ინფორმაციით, მასობრივი შეჯახება ძლიერი ქარების პერიოდში მოხდა, რომელმაც ე.წ. ქვიშის ქარიშხალი გამოიწვია და ხილვადობა შეამცირა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# თბილისის თეატრები სპექტაკლებს რეგიონებში ითამაშებენ

კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული თბილისის თეატრები საქართველოს რეგიონებში სპექტაკლებს ითამაშებენ.

ამ საკითხთან დაკავშირებით ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრში 27 ივლისს კონკურსში გამარჯვებული თბილისის თეატრებისა და კულტურის სამინისტროს ერთობლივი პრესკონფერენცია გაიმართება.

კულტურის სამინისტრომ კონკურსის „დედაქალაქის პროფესიული თეატრები რეგიონებში – ხელშეწყობა საგასტროლო ხარჯებით“ გამარჯვებულები გამოავლინა. გამარჯვებულთა შორის არიან რუსთაველის ეროვნული თეატრი, მარჯანიშვილის თეატრი, მოზარდ მაყურებელთა თეატრი, თოჯინების თეატრი, ჩრდილების თეატრი, ვასო აბაშიძის სახელობის ახალი თეატრი, გრიბოედოვის თეატრი.

რუსთაველის ეროვნული თეატრი ონში, ამბროლაურსა და მესტიაში ითამაშებს სპექტაკლს „ჯილდო?!“ და ეს იქნება რობერტ სტურუას სპექტაკლის საპრემიერო ჩვენებები.

საკონცერტო პროგრამით „გვესტუმრეთ ზღაპართა სამყაროში“ იმერეთის, გურიისა და აჭარის სოფლებსა და ფოთში წარმოდგენილი იქნება მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლები: მიუზიკლი „ალადინი“ ბათუმში, „სარა ბარა ბზია ბზზოიტ ანუ მე შენ მიყვარხარ“ რუხის ციხეზე, ანაკლიაში, წეროვანის დევნილთა დასახლებასა და სოფელ კოდაში.

თოჯინების თეატრი ითამაშებს სპექტაკლს „დედაენა“ ჭიათურაში, ტყიბულში, ლანჩხუთში, ჩოხატაურში, ხელვაჩაურსა და გურიის რეგიონის სოფლებში.

ჩრდილების თეატრის გასტროლები „აფხაზეთი“ გურიასა და სამცხე-ჯავახეთში გაიმართება.

ვასო აბაშიძის სახელობის ახალი თეატრის სპექტაკლი „შეყრა“ ბათუმში იქნება წარმოდგენილი.

გრიბოედოვის თეატრი სენაკსა და ქუთაისში „მაუგლის“ ითამაშებს.

სპექტაკლი „დანაშაული და სასჯელი“ საჩხერეში, მესტიაში, ოზურგეთსა და სენაკში მარჯანიშვილის თეატრის დასის მიერ გათამაშდება.

თანამედროვე ბალეტი „ბეატრიჩე“ ბათუმში გიორგი ალექსიძის სახელობის თანამედროვე ქორეოგრაფიის განვითარების ფონდის მიერ იქნება წარმოდგენილი.

კულტურის სამინისტროში კონკურსის განმავლობაში სულ 16 განაცხადი შევიდა, გამარჯვებული კი 8 მონაწილე გახდა. კონკურსისთვის გამოყოფილი ჯამური ბიუჯეტი 200. 000 ლარს შეადგენდა.

თბილისის თეატრების საგასტროლო ტურნე საქართველოს მასშტაბით 27 ივლისიდან დაიწყება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

სპორტი

# სანდრო მამუკელაშვილი: „ძალიან მიყვარს, როცა კალათბურთელი ეგოისტი არ არის“

29 ივლისს ნბა-ს დრაფტია, რომელშიც მონაწილეობას საქართველოს ნაკრების კალათბურთელი სანდრო მამუკელაშვილიც მიიღებს.

მოახლოებული დრაფტის წინ ამერიკულმა მედიამ ჩვენებურთან ინტერვიუ ჩაწერა.

***– დრაფტი ახლოვდება, ხომ არ ნერვიულობთ?***

– ცოტას, მაგრამ არაფერი სერიოზული. 2 დღით ჩემი მშობლები ჩამოდიან, ესეც მღელვარებას მმატებს. თუმცა, საერთო ჯამში, ყველაფერი კარგადაა.

***– პრე-დრაფტი სრულდება. შვება ხომ არ იგრძენით, რომ ახალ ეტაპზე გადადიხართ, პროფესიულ კარიერას იწყებთ?***

– დიახ. ერთია, წლეულს წინასადრაფტო პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი გამოვიდა: ვარჯიშობ გუნდებში, ცდილობ, თავი მოაწონო, გაიგო, დრაფტის რა ეტაპზე აგირჩევენ, ღელავ. ვამაყობ, რომ ამ სიტუაციაში ვარ, რაც ბევრ ქართველს არ გამოუცდია. უბრალოდ, ბედნიერი ვარ და ველოდები დრაფტს.

***– საიდან მოდიან თქვენი მშობლები?***

– საქართველოდან მოფრინავენ, ჩემი სამშობლოდან. ერთი სული მაქვს, როდის ვნახავ მათ. რაც უნდა მოხდეს დრაფტზე, ჩემთვის ეს მაინც საოცარი საღამო იქნება მხოლოდ მათ გამო.

***– რაც კოლეჯი დაასრულეთ, როგორი გახდა თქვენი ცხოვრება?***

– სეზონის დასრულებისთანავე კონტრაქტი გავაფორმე „ექსელ სპორტ მენეჯმენტთან“. ამის შემდეგ მუდმივად ვვარჯიშობ, რომ უკეთესი კალათბურთელი გავხდე და ნბა-ში თამაში დავიმსახურო. მაიამიში დღეში 3-ჯერ ვვარჯიშობდით, დარბაზში, პლაჟზე... სააგენტოს მადლიერი ვარ – კონცენტრირებული ვიყავი, რაში მოვისუსტებ და რა მაქვს გასაძლიერებელი.

***– რომელ კანდიდატებთან ერთად ვარჯიშობდით?***

– მარკუს ზეგაროვსკისთან, ეი ჯეი ლოუსონთან, ტრეი მერფისთან, აიო დოსუნმუსთან, ალპერენ სენგუნთან, სხვებთან... მათ უკვე ოჯახის წევრებად მივიჩნევ. მაიამიში ჩვენ ვცდილობდით, ერთმანეთს დავხმარებოდით მიზნების მიღწევაში. ზეგაროვსკი საოცარი ბიჭია. ადრე კარგად არ ვიცნობდი, ახლა ყოველდღე ვსაუბრობთ.

***– მაგრამ თქვენ ერთმანეთის წინააღმდეგაც გიწევთ თამაში...***

– ჯამში, ყველაფერი ძალიან კარგად იყო. ყველანი გაცილებით კონკურენტუნარიანები ვართ ამ ვარჯიშების შემდეგ.

***– რაში გამოიხატება თქვენი პროგრესი სეზონის შემდეგ?***

– ვფიქრობ, ჩემი სროლა უფრო სტაბილური გახდა, უფრო სწრაფად ვმოძრაობ მოედანზე და ეს ძალიან მომწონს. დარბაზს მიღმა ბევრი ვიშრომე იმისთვის, რომ დაცვითი ფუნქციები გამეძლიერებინა. ვიცი, რომ ხალხის ნაწილი ჩემს შესაძლებლობებს დაცვაში ეჭვის თვალით უყურებს. მარკუსსა და აიოს ვმეურვეობდი, ეს კი



ბევრს ნიშნავს. ყველაფერში ცოტ-ცოტა გავაუმჯობესე, მიმაჩნია, რომ სხვა კალათბურთელი ვარ, ვიდრე კოლეჯთა ლიგაში ვიყავი. თავად ვარ აღფრთოვანებული იმით, რაც კლუბებს შევთავაზე ვორქაუთებზე.

***– „ბიგ ისტის“ კონფერენციის წლის მოთამაშე ხართ. რას ნიშნავს ეს თქვენთვის?***

– კოლეჯთა ლიგაში თავიდან ცოტას ვთამაშობდი, მაგრამ მწვრთნელს ჩემი მუდამ სჯეროდა. წარმოიდგინეთ სეზონების მიხედვით ჩემი მონაგარი: 2.6 ქულა; 8.9 ქულა; 11.9 ქულა; 17.5 ქულა. მაილს პაუელთან ერთად თამაში ბევრ რამეში დამეხმარა, გავაუმჯობესე სროლა. კონფერენციის წლის მოთამაშის პრიზი კი ამ დიდი შრომის ჯილდო იყო.

***– პანდემიის დროს კალათბურთზე კონცენტრირება შეძელით?***

– ყველასგან შორს ვიყავი და მთლიანად კალათბურთზე კონცენტრირებული. პანდემია საშინელი დროება იყო, მაგრამ მართლა ძალიან დამეხმარა საკუთარ თავზე მუშაობაში.

***– ბოლო სეზონში მძიმე ფორვარდებს შორის პასების პროცენტით (20.6) ქვეყანაში მე-13 ადგილზე იყავით.***

– ტონი კუკოჩის, ნიკოლა იოკიჩისა და ლამარ ოდომის დიდი ფანი ვარ. „დიდი ბიჭები“, რომლებიც ბურთთან ახლო ურთიერთობაში არიან. ყოველთვის მსურდა, მოედანზე ყველაფრის კეთება შემძლებოდა. ევროპაში ვარ გაზრდილი, სადაც გუნდურ თამაშს დიდ ყურადღებას აქცევენ. ძალიან მიყვარს, როცა კალათბურთელი ეგოისტი არ არის. ყოველთვის ვეძებ მოედანზე იმას, ვინც უკეთეს პოზიციაზე დგას. ეს გუნდსაც ეხმარება და მეც.

***– როგორ ფიქრობთ, როგორ აისახება ეს შემდეგ ეტაპზე?***

– ვიმედოვნებ, რომ ნბა-ში შევძლებ, ვიყო „მაღალი“, რომელიც ფლანგებზეც თამაშობს, სამქულიანებსაც აგდებს, მეტოქის ვარსკვლავებს პრესავს და თამაშობს ჭკვიანურად. ვფიქრობ, მოხსნაშიც ვივარგებ. როცა შანსი მომეცემა, მას გამოვიყენებ.

***– რამდენი ვორქაუთი გქონდათ და რას აკეთებდით ვარჯიშებზე?***

– 11 თუ 12 ვორქაუთი მქონდა. ვარჯიშებზე ვცდილობ, გუნდს ვანახო, რომ კონკურენტუნარიანი ვარ, რომ შემიძლია მოსმენა და მომატება. აქცენტს ჩემს ძლიერ მხარეებზეც ვაკეთებ და იმასაც ვცდილობ, რომ დაინახონ, როგორ მოვუმატე დაცვაში. ისინი ხომ მთელი სეზონი მაკვირდებოდნენ და ფიქრობენ, რომ ყველაფერი იციან ჩემზე. საოცარი იყო ამდენი გუნდის გამოვლა, ხელმძღვანელების გაცნობა, ბევრ კითხვაზე მივიღე პასუხი. ახლა უკვე ბევრი რამ ვიცი, რის გამოყენებაც შემეძლება. მადლობა კლუბებს, რომ მენდნენ.

***– ის, რომ თქვენზე მაღლა რეიტინგში სხვები არიან, მოტივაციას გმატებთ?***

– 100%-ით! შეჯიბრება ჩემთვის ყველაფერია. სიმართლე გითხრათ, რეიტინგებს ხშირად არც ვნახულობ, რადგან ზოგჯერ ძალიან სასაცილოა. წარმოდგენა არ მაქვს, ზოგიერთები სიაში ჩემზე მაღლა როგორ ხვდებიან. თავმდაბალი ადამიანი ვარ და ვიცი, რომ სიაში ჩემზე ნამდვილად უკეთესი ბიჭებიც არიან. ვფიქრობ, დრაფტზე არჩევასაც ვიმსახურებ და პროფესიული კარიერის აწყობასაც. ვორქაუთებზე ხშირად მიწევს ისეთი მოთამაშეების წინააღმდეგ თამაში, რომლებიც რეიტინგებში მისწრებენ. სწორედ იქ ჯობს დამტკიცება, ვინ უკეთესია.

***– თავად დრაფტში „სად“ ხედავთ თქვენს ადგილს?***

– როგორც ვთქვი, რეალობის შეგრძნებას არ ვკარგავ. ვიცი, რომ ახლა მე-2 წრის მოთამაშე ვარ, სადღაც შუაში. ვნახოთ. რეიტინგებში ყველას თავისი მოსაზრება აქვს. ზოგისთვის ეს გამაღიზიანებელია, თუმცა ჩემთვის დამატებით მოტივაციაა, როცა სათანადოდ არ მაფასებენ. მსურს, იმ ხალხსაც დავუმტკიცო, რომელთაც ჰგონიათ, რომ ტოპ 60-ში ადგილს არ ვიმსახურებ.

***– რას ელით იმ გუნდისგან, რომელიც დრაფტზე აგირჩევთ?***

– ჩემი სურვილია, ისეთმა გუნდმა ამირჩიოს, რომელსაც ჩემი მონაცემების სჯერა და რომელსაც ჩემი განვითარება სურს. ყოველთვის მზად ვარ ახლის სწავლისთვის, მოსმენისთვის, სამაგიეროდაც, სურვილი მაქვს, რომ გუნდი, რომელიც ამიყვანს, კარგად ხვდებოდეს ჩემს ძლიერ მხარეებს. დანარჩენი თავისით მოვა. ველოდები გუნდს, რომელსაც ჩემი სჯერა.

***– დრაფტის საღამოს რას გეგმავთ?***

– სერიოზულს არაფერს. ნიუ იორკში დეიდას სახლში შევიკრიბებით. ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად ტელეფონის ზარს დაველოდები. იმედი მაქვს, ზარი აუცილებლად იქნება. როგორც ვთქვი, დრაფტი როგორც არ უნდა წარიმართოს, სახლში ამ საღამოს მაინც აღვნიშნავთ, რადგან მშობლებს დიდხანს ველოდი. ეს ძალიან განსაკუთრებული საღამო უნდა იყოს...

# შავი ლომი უმწვრთნელოდ დაკომპლექტდა

რაგბი ევროპამ ახალი საკლუბო ტურნირი დააანონსა სახელწოდებით „რაგბი ევროპის სუპერთასი“.

შეჯიბრებაში 6 ფრენჩაიზი და 2 რუსული კლუბი მიიღებს მონაწილეობას. 8 მონაწილე 2 ჯგუფად გაიყოფა – დასავლეთ და აღმოსავლეთ დივიზიონებად და ამ უკანასკნელში ისრაელის თელ ავივ ჰიპთან, კრასნოიარსკის ენისეისა და ლოკომოტივ-პენზასთან ერთად მონაწილეობას ახლახან შექმნილი ქართული პროფესიული ფრენჩაიზი შავი ლომიც მიიღებს.

ჯგუფური ეტაპი 2 წრედ გაიმართება, სტარტს 18 სექტემბერს აიღებს და 12 დეკემბერს დასრულდება. ჯგუფების 2-2 მოწინავე ნახევარფინალში გავა, ხოლო მაისში ფინალი ჯგუფურ ეტაპზე უკეთესი მაჩვენებლის მქონე გუნდის მოედანზე შედგება.

ახლა შავი ლომის შესახებაც: ესაა პირველი ქართული სარაგბო ფრენჩაიზი, რომელიც ეროვნული ნაკრების საბაზო გუნდის ფუნქციასაც შეითავსებს, ხოლო მის მიერ დაკონტრაქტებულ მორაგბეებს შეეძლებათ, თავისუფალ დროს დაეხმარონ თავიანთ კლუბებს დიდი 10-იდან.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ამ გუნდის ღირსებას არა მხოლოდ ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე მოთამაშეები დაიცავენ. იგივე ნიკა ხატიაშვილი აშშ-დან დაბრუნდა, შალვა მამუკაშვილი და ლაშა ჯაიანი – ინგლისიდან, ნიკო აფციაური – რუსეთიდან, დავით გიგაური – საფრანგეთიდან. ბორჯღალოსანთა კაპიტანი მერაბ შარიქაძე კი ფრანგული ორიაკიდან წამოსვლის შემდეგ 2 წელი სულაც უკლუბოდ იყო.

თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ გუნდი უმწვრთნელოდ არის. აქედან გამომდინარე, შემადგენლობა ვისი დაკომპლექტებული გამოდის, ადვილი მისახვედრია. ეს უფრო დაკვეთილ შემადგენლობას ჰგავს.

შავი ლომის სრული შემადგენლობა კი ასეთია:

შერკინება: მიხეილ ორაგველიძე, გოგა ქადარია, ნიკოლოზ ხატიაშვილი, დავით ლაზვიაშვილი, გიორგი პერტაია, ნიკა პატარაია, შალვა მამუკაშვილი, გიორგი ხუროშვილი, თენგიზ ზამთარაძე, ნოდარ ჭეიშვილი, ლაშა ჯაიანი, მიხეილ ბაბუნაშვილი, იოსებ გუშარაშვილი, დავით გიგაური, გიორგი თხილაიშვილი, ნიკო აფციაური, ლუკა ივანიშვილი, სანდრო მამამთავრიშვილი, თორნიკე აქუბარდია;

უკანა ხაზი: თენგიზ პერანიძე, გიორგი ბეგაძე, გიორგი ბაბუნაშვილი, დავით მოძღვრიშვილი, მერაბ შარიქაძე, დემურ თაფლაძე, ლაშა ლომიძე, გურამ ქანდაურაშვილი, აკაკი ტაბუცაძე, სანდრო სვანიძე, სანდრო თოდუა, ოთარ ლაშხი, მირიან მოდებაძე, სოსო მათიაშვილი, ლაშა ხმალაძე.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ლაშა შავდათუაშვილი ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანია

ძიუდოისტი ლაშა შავდათუაშვილი მეორე ოლიმპიურ ოქროს მედალს ვერ შესწვდა. არადა, ამასთან ძალიან ახლოს იყო. 73 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში შავდათუაშვილი ფინალში მასპინძელ შოჰეი ონოს დაეჭიდა. თითქმის 11 წუთის განმავლობაში ქართველი სპორტსმენი მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ...

ძირითადი დრო უქულოდ დასრულდა, დამატებით დროში კი პირველი გდება ონომ გააკეთა და ჩვენებური მხოლოდ ვერცხლს დასჯერდა.

ფინალამდე შავდათუაშვილმა ფრანგ გულემ ჩაინეს ვაზარით სძლია, მერვედფინალში ჯიბუტელი ალდეალექსანდერ ჰუსეინი დაამარცხა, კანადელ არტურ მარგელიდონთან შეხვედრაში ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, ოქროს დროის მესამე წუთზე კი შავდათუაშვილმა გამარჯვება იპონით მოიპოვა. დამატებითი დრო გახდა საჭირო ნახევარფინალშიც, სადაც ლაშას მეტოქე სამხრეთკორეელი ჩანგრიმ ანი იყო. შეხვედრამ 8:37 წუთს გასტანა, ჩვენებურმა მეტოქეს სამი შიდო მიაღებინა და ფინალის საგზური ასე მოიპოვა.

მედალთან ახლოს იყო ძიუდოისტი ეთერ ლიპარტელიანი (57კგ), რომელიც ბრინჯაოსთვის ბრძოლაში იაპონელ ცუკასა იოშიდას დაეჭიდა. მასპინძელმა ჩვენებურს 2 გდება გაუკეთა და სუფთა გამარჯვება მოიპოვა.

მანამდე 21 წლის ლიპარტელიანმა აფრიკის ჩემპიონი, ანგოლელი დიასონემა მუკუნგუი იპონით დაამარცხა, შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსან ტერეზა შტოლს სძლია, მეოთხედფინალში ფრანგ სარა კისიკესთან დამატებით დროში წააგო, რის შემდეგაც რეპეშაჟში გადაინაცვლა, სადაც ტატამზე პოლონელი იულია კოვალჩუკი გააკრა.

ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე ნიკოლოზ ბასილაშვილმა დაძაბულ და დრამატულ ბრძოლაში იტალიელი ლორენცო სონეგო 6:4; 3:6; 6:4 დაამარცხა და მერვედფინალში გავიდა.

მატჩის მიმდინარეობისას რამდენიმეჯერ შეიცვალა საერთო სურათი. ორივე ჩოგბურთელი ახლოს იყო გამარჯვებასთან, საბოლოოდ კი მოგება ჩვენიანს დარჩა.

პირველ სეტში ბასილაშვილი ბრეიკით დაწინაურდა, მაგრამ სონეგომ მალევე დაიბრუნა დაკარგული. თუმცა ბასილაშვილმა კიდევ ერთხელ წაართვა ჩაწოდება მეტოქეს და საბოლოოდ სეტი გამარჯვებამდე მიიყვანა – 6:4.

მეორე სეტი ბასილაშვილმა თითქმის უბრძოლველად წააგო – მეექვსე გეიმში სონეგომ ბრეიკი გაახერხა და საქმის ბოლომდე მიყვანა არ გასჭირვებია – 3:6.

მესამე სეტში თავიდან სონეგომ შეასრულა ბრეიკი და 3:1 დაწინაურდა; შემდეგ ბასილაშვილის ჯერი დადგა – ჩვენებურმა ზედიზედ ოთხი გეიმი მოიგო – 5:3 და მატჩზე აწვდიდა, მაგრამ სონეგომ ბრეიკი გაახერხა, თუმცა ბასილაშვილმა იქვე წაართვა მეტოქეს იმედი, მისი ჩაწოდება აიღო, შესაბამისად, მატჩიც მოიგო და შემდეგ ეტაპზე გავიდა.

მერვედფინალში ბასილაშვილი




გერმანელ ალექსანდრ ზვერევს შეხვდება, რომელმაც 6:2; 6:2 კოლუმბიელი რივეროსი დაამარცხა.

ბასილაშვილისა და ზვერევის მატჩი 28 ივლისს, 06:00 საათზეა ჩანიშნული.

პირველივე წრის შეხვედრების შემდეგ ტურნირს მიღმა დარჩა 2 ქართველი მოკრივე: სახილ ალახვერდოვი ჩინელ იანჰუან ჰუს დაუპირისპირდა, სამრაუნდიან ბრძოლაში მსაჯების გადაწყვეტილებით 0:5 წააგო და ოლიმპიადას გამოეთიშა.

გიორგი ხარაბაძე (75კგ) კი რინგზე უზბეკ ფანატ კახრამონოვის წინააღმდეგ გავიდა. პირველი რაუნდის შემდეგ მსაჯებმა უპირატესობა უზბეკ სპორტსმენს მიანიჭეს, მეორე რაუნდში კი ხარაბაძემ სიტუაცია ოდნავ გამოასწორა, მაგრამ მეტოქის დარტყმა გაეპარა, ტრავმა მიიღო და მსაჯმა ბრძოლა უზბეკი სპორტსმენის სასარგებლოდ შეწყვიტა.

# თბილისის ევროჩელენჯი ფრანგთა ტრიუმფით დასრულდა

ფიბა-ს 20-წლამდელთა ევროჩელენჯერის ბ ჯგუფი, რომელსაც თბილისმა უმასპინძლა, დასრულდა. საქართველოს კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ მორიგ საერთაშორისო ღონისძიებას მაღალ დონეზე უმასპინძლა და მისი დასრულების შემდეგ შესანიშნავი ორგანიზებისთვის სპეციალური ჯილდოც დაიმსახურა.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ პაატა გურასპაულს ორგანიზატორის ჯილდო თბილისის ევროჩელენჯერზე მოვლინებულმა ფიბას დელეგატმა რასა ლიუმინემ გადასცა. ეს მოხდა დაჯილდოების ცერემონიალზე, რომელიც ტურნირის ბოლო, საქართველო-პოლონეთის მატჩის დასრულების შემდეგ გაიმართა.

ცერემონიალი სწორედ ჯილდოს გადაცემით დაიწყო, რის შემდეგაც ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებული საფრანგეთის ნაკრების წევრი მილან ბარბიჩი დაჯილდოვდა. ტურნირის საუკეთესო კალათბურთელი მონაწილე გუნდების მწვრთნელების გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა. საუკეთესოდ აღიარებულ მილან ბარბიჩს სპეციალური პრიზი საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, ფიბა-ევროპის აღმასრულებელი საბჭოს წევრმა და ფიბა-ევროპის იურიდიული კომიტეტის პრეზიდენტმა გიორგი ქართველიშვილმა გადასცა.

ტურნირზე ყველა მატჩის მომგები საფრანგეთის ნაკრების წევრები საჩემპიონო, ოქროს მედლებით საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა პაატა გურასპაულმა და გენერალურმა მდივანმა გიორგი ქართველიშვილმა დააჯილდოვეს. ცერემონიალის კულმინაცია გახლდათ საჩემპიონო თასის გადაცემა, რომელიც ფრანგების კაპიტან ტიმოთი კრუსოს პაატა გურასპაულმა უსახსოვრა.

საქართველოს ნაკრებმა, რომელიც ბოლო ტურში პოლონეთთან 81:87 დამარცხდა, ტურნირზე მეხუთე ადგილი დაიკავა და მხოლოდ თურქეთის ნაკრებს აჯობა.

20-წლამდელთა ევროჩელენჯერის მატჩებს ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი ილიას ზუროსი დაესწრო.

**ილიას ზუროსი:**

– მიხარია, ისევ აქ რომ ვარ და მაქვს საშუალება, ჩვენი 20-წლამდელთა ნაკრების თამაშებს დავესწრო. სამწუხაროდ, ჩვენს გუნდს შემადგენლობის მხრივ პრობლემები აქვს. რამდენიმე კალათბურთელი ნაკრებში ვერ ჩამოვიდა, რამდენიმეს ჯანმრთელობის პრობლემები ტურნირის მსვლელობისას შეექმნა და ყველა მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღეს. მეორე მხრივ, მთლიანობაში, ბიჭების მონდომებით კმაყოფილი ვარ. მოკლე დროში მოახერხეს და კარგად შეკრულ გუნდად ჩამოყალიბდნენ. სასიხარულოა, რომ რამდენიმე კალათბურთელი დავინახე, რომლებმაც დამაინტერესეს და მათ აქვთ შანსი, მომავალში იყვნენ ჩვენთან, მოხვდნენ ეროვნულ გუნდში. ჩვენ მივაქცევთ მათ ყურადღებას, დავაკვირდებით და, უნდა აღვნიშნო, რომ თითოეულ მათგანს მართებს ბევრი შრომა და საკუთარ კლუბში ვარჯიში, რათა სამომავლოდ ეროვნულ გუნდში ადგილი დაიმსახურონ.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## შედეგები

**26 ივლისი**

**ოლიმპიადა**

**ჩოგბურთი**

**კაცები**

ზვერევი-გალანი .................... 6:2 6:2
მილმანი-დავიდოვიჩ ფოკინა ... 4:6 7:6 3:6
ბასილაშვილი-სონეგო ..... 6:4 3:6 6:4
ფონინი-გერასიმოვი ............... 6:4 7:6
ნაგალი-მედვედევი .................. 2:61:6
კარენო ბუსტა-ჩილიჩი ..... 5:7 6:4 6:4
ჯოკოვიჩი-შტრუფი ................ 6:4 6:3
კიფერი-პერსელი ................... 6:3 6:0

**ქალები**

ფრიძმანი-პავლუჩენკოვა ....... 1:6 1:6
გოლუბიჩი-ოსაკა .................. 3:6 2:6
ვესნინა-ჯორჯი ..................... 3:6 1:6
ფერნანდესი-კრეიჩიკოვა ....... 2:6 4:6
საკარი-სტოიანოვიჩი ..............6:16:2
პეტერსონი-რიბაკინა ............ 2:6 3:6
ვანი-მუგურუზა ..................... 3:6 0:6
ბენჩიჩი-დოი ......................... 6:2 6:4
პოდოროსკა-ალექსანდროვა . 6:1 6:3
სობირეს ტორმო-ფერო .......... 6:1 6:4
ვონდროუშოვა-ბუზენერსკუ . 6:1 6:2
სობოლენკო-ვეკიჩი ........... 4:6 6:3 6:7
კვიტოვა-ვან უიტვანკი .... 7:5 3:6 0:6
ტომლიანოვიჩ-სვიტოლინა 6:4 3:6 4:6
შვიატეკი-ჰიბერტი ................. 3:6 6:7
პლიშკოვა-სუარეს ნავარო 6:3 6:7 6:1

**კალათბურთი**

**კაცები**

არგენტინა-სლოვენია ............ 100:118

**ქალები**

ს.კორეა-ესპანეთი ......................69:73
სერბეთი-კანადა .........................72:68

**25 ივლისი**

**ფეხბურთი**

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ზანდჰაუზენი-ფორტუნა ................ 0:2
ნიურნბერგი-აუე ........................... 0:0
ზ.პაული-კილი ............................... 3:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ურალი-კრასნოდარი ..................... 0:3
კრ.სოვეტოვი-ახმატი .................... 1:2
ცსკა-უფა ........................................ 1:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

კლაგენფურტი-ვოლფსბერგერი .. 1:1
რიდი-ავსტრია .............................. 2:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

მეხელენი-ანტვერპენი .................. 3:2
ბრიუგე-ეუპენი .............................. 2:2
ანდერლეხტი-სენ ................. ჟილი 1:3
სტ.ტრუიდენი-გენტი .................... 2:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

მეტალისტი-რუხი ......................... 2:1
დესნა-ჩერნომორეცი .................... 3:0
ზორია-ოლექსანდრია ................... 0:1

**დანია. სუპერლიგა**

ნორდსიელანდი-ორხუსი .............. 0:0
რანდერსი-ოდენსე ........................ 1:1
კოპენჰაგენი-სილკებორგი ........... 0:0
ბრონდბიუ-ვიბორგი ..................... 1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

კალმარი-დიურგარდენი ............... 0:1
ჰამარბი-ნორჩიოპინგი .................. 2:1
ჰაკენი-ელფსბორგი ...................... 1:1

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ისტორიული ციხე-სიმაგრე აჭარაში; 2. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 3. ამერიკელი მწერლის ო'ჰენრის ნამდვილი გვარი; 4. წითელი ფერის ძვირფასი თვალი; 5. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 6. სამეფო კვერთხი; 9. მდინარე რიონის მარჯვენა შენაკადი; 10. ერთკუზიანი აქლემი; 11. ლიგურიის ზღვისპირა პოპულარული კურორტი იტალიაში; 14. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 16. დამარილებული ღორის ქონი; 18. ქსოვილების დამამზადებელი ოსტატი; 20. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული; 23. ფულის საერთაშორისო ერთეული; 24. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში. 25. კანადის დედაქალაქი; 26. პატარა ბუ.

**თარაზულად:** 7. მუდმივი სიდიდე მათემატიკაში; 8. უბანი თბილისში; 12. ხშირი, დაბურული ტყე; 13. ცნობილი იამაიკელი სპრინტერი მამაკაცი; 15. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 17. სასტუმრო „თბილისი-მერიოტის“ ძველი სახელწოდება; 19. დასაკეცი ჯიბის დანა; 21. მდინარე პოლონეთში; 22. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 27. თანაფარდობა ნაწილებს შორის; 28. უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მელაძე; 2. ხუცური; 3. მალთაყვა; 4. უზანგი; 6. ჩეფერინი; 8. მდოგვი; 11. კელასური; 12. ბორჯომი; 16. ფეოლა; 17. კობზა; 18. თართი.

**თარაზულად:** 1. მესხეთი; 5. პანჩი; 7. მალხაზი; 9. აბსურდი; 10. მატიანე; 13. ველვეტი; 14. მერანო; 15. როქი; 19. ოჯალეში; 20. კოსინუსი; 21. საბურთალო; 22. დინარი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ხურმა; 2. დროშა; 3. ყიფშიძე; 4. კები; 5. ალია; 6. ვიოლინო; 9. ამპელოლოგია; 10. ამაშუკელი; 11. დირიჟაბლი; 14. გურჯი; 16. გრიგი; 18. რეტორტა; 20. რეცეპტი; 23. ლოტი; 24. დაზგა; 25. მატიე; 26. შინი.

**თარაზულად:** 7. პირომეტრი; 8. შოტლანდია; 12. დიუმა; 13. სირია; 15. სტეკა; 17. რაიკონენი; 19. ეპოსი; 21. ატილა; 22. პლაცი; 27. სტრიპტიზი; 28. სტანდარტი.

## სამგლოვიარო განცხადებები

**რეზიკო ხარშილავას ხსოვნას!**

ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ, განსაკუთრებით შენს ოჯახს: საყვარელ დედას ნანის, საამაყო ვაჟიშვილებს ნიკოლოზსა და გიორგის, მეუღლეს თათიას, დას ნინოს და ყველა ახლობელს, ჩვენო საყვარელო, კეთილშობილო, ინტელიგენტო, ჰუმანურო რეზიკო!

მშვიდად განისვენე შენს საყვარელ მამიკოსთან – როზისთან ერთად!

ნათელში გამყოფოს უფალმა!

*კუსუნა და გოჩა მზარელუები*

**ნანი ნორაკიას ხსოვნას!**

ვუსამძიმრებთ და თანავუგრძნობთ ოჯახს – საყვარელ შვილებს თათია და ლევან არჩაიებს, შვილიშვილებს გიორგი და ნიკოლოზ ხარჩილავებს, მძახალს ნანი ბერაიას კეთილშობილი, ინტელიგენტი, გულისხმიერი ქალბატონი ნანის გარდაცვალების გამო!

ნათელში ამყოფოს უფალმა!

*კუსუნა და გოჩა მზარელუები*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

27 ივლისი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0828

ევრო — 3.6371

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2521

100 რუსული რუბლი — 4.1621

## ამინდის პროგნოზი 27 ივლისისათვის






## ბარსელონა ლანგლეს ტრანსფერში 25 მილიონს ითხოვს

ბარსელონას ფრანგი მცველის კლემან ლანგლეს გაყიდვა სურს, მაგრამ კატალონიელები მის ტრანსფერში 25 მილიონს ითხოვენ, ამ თანხის გადახდა კი ჯერჯერობით არავის სურს. ბარსელონას ჰქონდა წინადადება რომასგან, მაგრამ იტალიელები მხოლოდ 15 მილიონს იხდიდნენ და ბარსელონამ ისინი უარით გაისტუმრა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლანგლეს ყიდვა რამდენიმე ინგლისურ კლუბს სურს და მათ შორის არის ლონდონის არსენალიც.



## კიელინი, შესაძლოა, რეალში გადავიდეს

მადრიდის რეალი სერხიო რამოსის წასვლის შემდეგ ახალ ცენტრალურ მცველს ეძებს და, შესაძლოა, სამეფო გუნდში ჯორჯიო კიელინი გადავიდეს. კიელინი უკვე სოლიდურ ასაკშია, მაგრამ ჯერჯერობით კარიერის დასრულებას არ აპირებს და მან ევროპის ჩემპიონატი მაღალ დონეზე ჩაატარა.

ასევე, დიდი ალბათობით, რეალს უახლოეს მომავალში რაფაელ ვარანიც დატოვებს, ამიტომ დაცვის ხაზში სამეფო გუნდს დიდი პრობლემები აქვს.

## გრიზმანი ხელფასის დაკლებაზე თანახმაა



ბარსელონის ფრანგ ნახევარმცველ ანტუან გრიზმანს გუნდიდან წასვლა არ სურს და მზად არის, ხელფასის დაკლებაზეც დასთანხმდეს, თუ ბარსელონა მასთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას მოისურვებს.

გრიზმანს ატლეტიკოში დაბრუნებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ჯერჯერობით ეს ტრანსფერი ჩაიშალა.

შეგახსენებთ, რომ ბარსელონაში გადასვლამდე გრიზმანი სწორედ მადრიდის ატლეტიკოს ღირსებას იცავდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## მოცურავე ურო თევზთან შეჯახებას გადაურჩა



ამერიკის ფლორიდის შტატის ფლორიდა პანჰანდალის პლაჟზე მოცურავე კინაღამ ზვიგენის ერთ-ერთ სახეობას, ურო თევზს გადაეყარა. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა ტელეარხმა გამოაქვეყნა. ვიდეოჩანაწერზე, რომელიც სოციალურ ქსელებში ვირუსული გახდა, ჩანს, როგორ მიცურავს ურო თევზი პირდაპირ მოცურავისკენ, თუმცა ბოლო მომენტში ზვიგენმა გვერდით გაუხვია.

კადრს მიღმა ისმის ხალხის ყვირილი, რომლებმაც მტაცებელი თევზის გამოჩენაზე მოახდინეს რეაგირება.

– ოჰ, არა, არა, არა, არა! ღმერთო ჩემო! – იძახის ერთ-ერთი თვითმხილველი. სხვებმა კი მამაკაცს დაუწყეს ძახილი, რომ ის სასწრაფოდ წყლიდან ამოსულიყო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

•••

კაცი ქალს ეკითხება:

– შეგიძლიათ მითხრათ, რამდენი წლის ხართ?

– ბარემ ისიც მკითხე, რამდენს ვიწონი და ჩემი ნომერ პირველი მტერი იქნები!

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– მართალია, რომ შეყვარებულს დაშორდი?

– კი, მართალია.

– კი მაგრამ, შენ არ ამბობდი, ისეთი გოგოა, ფეხები ყურებიდან ეზრდებაო?

– შენ უნდა გენახა, ყურები სად ჰქონდა...

•••

პაციენტი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, თავში პატარა კაცუნა მიზის და სულ დედას იგინება!

– ეგ არაფერია, მაგის მკურნალობა 1000 ლარამდე დაგიჯდება.

– და იცი, ექიმო, ახლა რა თქვა იმ პატარა კაცუნამ?

•••

მაღაზიაში ქალი თუთიყუშს ეკითხება:

– შენ ლაპარაკი იცი?

– და შენ კვერცხებს დებ?

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– იცი, ძვირფასო, აფრიკაში არის ტომი, რომლის მამაკაცები ცოლებს ყიდიან. და ჩვენ რომ იმ ტომში გვეცხოვრა, გამყიდდი?

– არა, ძვირფასო, მაგას როგორ ვიზამდი, უბრალოდ, გაგაჩუქებდი.

•••

პარაშუტით ხტომის ინსტრუქტორი ერთ-ერთ პარაშუტისტთან მიდის, მის აღჭურვილობას ამოწმებს და ფეხებს შორის ამოჭერილ ღვედებზე ეკითხება:

– კვერცხებზე ხომ არ გიჭერს?

– არა.

– რა გქვია?

– ლელა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ლანა ღოღობერიძემ ახალი წიგნი დაწერა



რეჟისორმა ლანა ღოღობერიძემ ახალი წიგნი „ვისთვის გალობს შაშვი" დაწერა. კინორეჟისორი, დიპლომატი, მთარგმნელი, პუბლიცისტი და მხატვარი იმ თაობას მიეკუთვნება, რომელმაც საკუთარ თავზე იწვნია საბჭოთა რეჟიმის დამთრგუნველი ძალა. ბავშვობის ტრავმებმა დიდად განსაზღვრა ლანა ღოღობერიძის შემოქმედება.

„ვისთვის გალობს შაშვი" დოკუმენტური პროზის ნიმუშია, რომელიც გადატანილი ტკივილების ამოძახილია. მაგრამ მთელი ცხოვრების გამოცდილების შედეგად ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ განსაცდელი და, განსაკუთრებით საყოველთაო განსაცდელი, მხოლოდ ამძაფრებს სიცოცხლის სიყვარულსა და სამყაროს მშვენიერების შეგრძნებას. პოეზიასა და ბუნების სილამაზეს ძალუძს, დააცხროს ყოველგვარი ტკივილი და სულის თავშესაფრად იქცეს, ამისთვის კი ხანდახან ისიც საკმარისია, გაყუჩდე და ყური მიუგდო შაშვის მოულოდნელ გალობას პანდემიით დადუმებულ ქალაქში. ლანა ღოღობერიძის ბიოგრაფიული რომანი, „რაც მაგონდება და როგორც მაგონდება", რომელსაც ქართველი მკითხველი კარგად იცნობს, ორი წლის წინ ხელახლა გამოიცა.

## ნუნუ გაბუნია 80 წლის გახდა



არაერთი ცნობილი სიმღერის ავტორი, კომპოზიტორი ნუნუ გაბუნია იუბილარია. მას 80 წელი შეუსრულდა. ხელოვანს პანდემიის გამო იუბილეს აღნიშვნა ვიწრო წრეში მოუხდა.

ნუნუ გაბუნიამ კონსერვატორიაში საკომპოზიტორო და ვოკალურ ფაკულტეტებზე ისწავლა, სტაჟირება მოსკოვის დიდ თეატრში გაიარა. სხვადასხვა წელს მუშაობდა საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტში საბავშვო მუსიკალური გადაცემების რედაქტორად, იყო ამავე კომიტეტის ორკესტრის სოლისტი.

იუბილარ კომპოზიტორს შექმნილი აქვს 100-ზე მეტი საესტრადო სიმღერა. მათი უმრავლესობა ჰიტია და მსმენელში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ნუნუ გაბუნიას დაწერილი აქვს საბავშვო სიმღერებიც. იგი მუსიკალურად აფორმებდა სპექტაკლებს, ანიმაციურ ფილმებს. მისი სიმღერები არაერთხელ დასახელდა წლის საუკეთესო ნაწარმოებად.

ნუნუ გაბუნიას შემოქმედებაში, საესტრადო სიმღერების გარდა, გამორჩეულად მნიშვნელოვანია ნაწარმოები „ავე მარია", რომელიც მსოფლიოში აღიარებულ 18 „ავე მარიას" შორისაა შესული.

საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწესა და თბილისის საპატიო მოქალაქეს ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ვარსკვლავი გაუხსნეს.

## მსახიობი ჯოზეფ გორდონ-ლევიტი საქართველოთი დაინტერესდა



ორგზის ოქროს გლობუსის ნომინანტი რეჟისორი და მსახიობი ჯოზეფ გორდონ-ლევიტი საქართველოთი დაინტერესდა. მან სოციალურ ქსელში თბილისის ფოტო გამოაქვეყნა და თავის ათასობით ვირტუალურ მეგობარსა და გამომწერს საქართველოზე მეტი ინფორმაციის გაზიარება სთხოვა:

– არის აქ ვინმე, ვინც საქართველოში ცხოვრობს? ახალი პროექტისთვის ვეძებ საქართველოში გადაღებულ ფოტოებს. მოძებნეთ, თუ გაქვთ ამ ქვეყანაში გადაღებული ფოტოები, რომლებითაც ამაყობთ და აქ დაპოსტეთ, – განაცხადა მსახიობმა და მას ქართველებმა გერგეტის სამების, სვანეთში დაცული უძველესი ბიბლიის, მშვიდობის ხიდის, სვანეთის, ვარძიისა და სხვა მნიშვნელოვანი ძეგლების ფოტოები მიაწოდეს.

## მოცეკვავე ლაშა სახეჩიძე გადარჩენისთვის იბრძვის



22 წლის მოცეკვავე ლაშა სახეჩიძე სიცოცხლისთვის იბრძვის. მას ცივი იარაღით გულში მიყენებული მრავლობითი ჭრილობის შედეგად დაუზიანდა ღვიძლი, ფილტვი და თავის ტვინი. ახლა მოცეკვავე ხელოვნური სუნთქვის აპარატზეა შეერთებული და გადარჩენისთვის იბრძვის.

ლაშას მდგომარეობა მძიმეა და უცხოეთში გადაყვანა ესაჭიროება. ოჯახს მკურნალობის თანხა არ აქვს და შვილის გადასარჩენად დახმარებას ითხოვს. ლაშას სახელზე ბანკში ანგარიშია გახსნილი და ნებისმიერ მსურველს მინიმალური 1 ლარით მოცეკვავის დახმარება შეუძლია.

## ჩუბინაშვილის ცენტრის შენობას საფრთხე ემუქრება

ათონელის 9 ნომერში მდებარე გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის შენობას საფრთხე ემუქრება.

საფრთხეს კი მის ძირში მიმდინარე სამუშაოები წარმოადგენს. შენობის სარდაფში რესტორნის გახსნის მსურველს არ აკმაყოფილებს შენობის უკან მდებარე ეზოდან შესვლა, ამიტომ მძიმე ტექნიკით თხრის მიმდებარე ტერიტორიას.

**მარიამ გაჩეჩილაძე,** გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის თანამშრომელი:

– ამ შენობის სარდაფში არსებულ სივრცეს ჰყავს კერძო მეპატრონე, რომელსაც სურს რესტორნის გახსნა. მას არ აკმაყოფილებს შენობის უკან მდებარე მშვენიერი, მყუდრო ეზოდან შესვლა. უფრო მეტად რომ მიიზიდოს მომხმარებელი, განსაკუთრებით კი ტურისტები, ქუჩის მხრიდან აკეთებს 18-საფეხურიან კიბეს. ყოველივე ამან გამოიწვია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მიმართ ბარბაროსული დამოკიდებულება. მაგრამ, რა გინდა, რომ ქნა... გამდის და ვტირიო!

არ სჯერათ, რომ შენობას ავარიული მდგომარეობა ექმნება. უკვე ჩამოიქცა თაღის დარჩენილი ნაწილი. კიდევ კარგი, მუშა არ მოიყოლა ქვეშ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 27 ივლისისათვის



**ვერძი** – პროვოკაციული დღეა. ერიდეთ სხვის საქმეში ჩარევას, თორემ გაუგებრობაში გაეხვევით. **კურო** – ნუ იაქტიურებთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. ბუნებასთან რაც შეიძლება ახლოს იყავით. **ტყუპები** – მერკურის რეგრესული მოძრაობა ფინანსურ მდგომარეობაზეც აისახება. დღის პირველ ნახევარში პარტნიორებისგან მცირე უსიამოვნებას ელოდეთ. **კირჩხიბი** – კოლეგებთან პატარა კონფლიქტია მოსალოდნელი. მოვლენებზე მტკივნეულ რეაგირებას ნუ მოახდენთ. **ლომი** – ახლობელ ადამიანთან პრეტენზიების გამოხატვას ერიდეთ, თორემ სკანდალს ვერ ასცდებით. უმჯობესია, ეს დღე მარტომ გაატაროთ. **ქალწული** – სერიოზულ პროვოკაციებს თავს ვერ დააღწევთ. საკუთარი აზრის გამოხატვისას ძალიან იფრთხილეთ. **სასწორი** – ბედი შანსს გაძლევთ, მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. საღამოს ერიდეთ სხვის საქმეებში ჩარევას. **ღრიანკალი** – კეთილისმყოფელი დღეა. ნეგატიური აზრები უკუაგდეთ და მხოლოდ პოზიტიურზე იფიქრეთ. **მშვილდოსანი** – საკუთარი ძალების რწმენა და საქმიანი აქტივობა სასიკეთო შედეგს გამოიღებს. მატერიალური მდგომარეობაც გიუმჯობესდებათ. **თხის რქა** – ერიდეთ პროვოკაციებს, სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფას. საკუთარი პრობლემებით დაკავდით. **მერწყული** – დაწყებული საქმე კონკრეტულ რეზულტატამდე მიიყვანეთ. ბავშვების მიმართ მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ. **თევზები** – დაბნეულობის გამო საქმიანი რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. შეუფერებელი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, მოლაპარაკებებისათვის.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სანადირო თოფით სასროლი ყველაზე წვრილი კალიბრის საფანტი; 2. ფერადი, გაუმჭვირვალე მინის ნატეხები მოზაიკური სამუშაოებისთვის; 3. ძველბერძენი მოქანდაკე, რომელმაც ააგო ცნობილი ლაბირინთი კუნძულ კრეტაზე; 4. მარცვლეულის დამხარისხებელი მანქანა; 6. ისტორიული ქალაქი-სახელმწიფო მესოპოტამიაში; 8. ტექნიკასა და მედიცინაში გამოყენებული აზოტისა და წყალბადის ნაერთი, მწვანე სუნის აირი; 11. „ვეფხისტყაოსნის" დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 12. შვედეთის, დანიის, ნორვეგიის მეფეთა ტიტული; 16. უბანი თბილისში; 17. იაპონიის ძველი დედაქალაქი; 18. სურნელოვანი პარფიუმერიული ფხვნილი.

**თარაზულად:** 1. მდინარე უკრაინა-მოლდავეთის საზღვარზე; 7. „ფორმულა-1"-ში მონაწილე ფრანგი ავტომრბოლელი; 5. კუბის ფორმის მქონე წმინდა მეჩეთი მექაში; 9. სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი სახეობა; 10. ბატის ძველი ქართული სახელწოდება; 13. დიპლომატიური წარმომადგენელი; 14. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. კინოპრემია ესპანეთში; 19. სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში; 20. ფუტკრის სკის შავი ცვილი; 21. საფოსტო გზავნილი; 22. „ბითლზის" ერთ-ერთი წევრი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

